

თბილისის  
წიგნის  
საერთაშორისო  
ფესტივალი

TBILISI **20**  
INTERNATIONAL  
BOOK FAIR

# სერჩევი

- 10 ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა „ბუქაფა“
- 11 ბუქმანია გამომცემლობა „ემოკა“
- 12 გამომცემლობა „ელაფი“ გამომცემლობა „ერათა“, „კარნასი“ ჯგუფი
- 13 გამომცემლობა „ერთანუჭი“ გამომცემლობა „ბაკვი“
- 14 გამომცემლობა „დიოგენე“ გამომცემლობა „ინდიგო“
- 15 გამომცემლობა „ინტელექტი“ გამომცემლობა „კლიო“
- 16 გამომცემლობა „მერიდიანი“ „გამომცემლობა კალიტრა L“
- 17 გამომცემლობა „კედაგოგიკა“ გამომცემლობა „კოეზი“
- 18 გამომცემლობა „რეპედას“ გამომცემლობა „საქნიგნი“
- 19 გამომცემლობა „საზანი“ გამომცემლობა „სიესტა“
- 20 გამომცემლობა „ქართული“ გამომცემლობა „შემეცნება“
- 21 გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“ გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
- 22 გამომცემლობა „წიგნი+იარი“ ელფის გამომცემლობა
- 23 „ერუდიტი“ „ზაზრა მრუპ“
- 24 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ზიზანთინისტიკისა და ნეოგრაფიისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“ თსუ გამომცემლობა - თსუ წიგნის მაღაზიათა ქსელი Scripta Manent
- 25 ი/გ „ირინა დანეიკინა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- 26 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ინგლისური წიგნი საქართველოში, English Book in Georgia



- 27 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ინგლისური წიგნი საქართველოში. English book in Georgia
- 28 „ოლა“  
პრემიერი 2015
- 29 სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა „კნეტავრი“
- 30 „ქარჩაქის გამომცემლობა“  
წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“
- 31 წიგნის მაღაზია „წიგნები ვაკეში“  
„არტი და კრეატი“
- 32 ააფ-მანეჯმენტი  
ექსპლოტლი
- 33 აკადღია გასლიმ ესოუსიეიშენ ჯორჯია  
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
- 34 გოეთეს ინსტიტუტი  
იუნესკოს სახელობის ინსტიტუტი
- 35 კაფა პიეტო  
კინგსი საქართველო
- 36 კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
„კოსმო“ – ხელნაკეთი ნივთები და ექსესუარები
- 37 კენილვანიის (აშშ) საგუშაგო კომპის, ბიბლიისა და ტრანსლაციების საგომაროების  
ფილიალი საქართველოში“  
კეკელა
- 38 საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია - SOVLAB  
საერთაშორისო სახლი
- 39 საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია  
საქართველოს უნივერსიტეტი
- 40 სუფთა წყალი – Back wood-art  
ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი
- 41 ჰინერიჰ ბიოლის ფონდის სახრათ კეკეანის რეგიონალური ბიურო  
CHINA NATIONAL PUBLICATION IMPORT & EXPORT (GROUP) CORPORATION
- 42 ENTREPRENEUR GEORGIA  
FRANKFURTER BUCHMESSE
- 43 GHIMI ● ღიმი  
READERSLAND





საქართველოს  
წიგნის გამომცემელთა  
და გამავრცელებელთა  
ასოციაცია

მისამართი: ი. მანაბლის ქ. N 13;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 592 51 83 83  
ელ. ფოსტა: info@gpba.ge; dir@gpba.ge  
საკონტაქტო პირი: თინათინ ბერიაშვილი  
ვებგვერდი: www.gpba.ge

## ფასტივალის ორგანიზატორი: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია დაარსდა 1998 წელს, 2007 წელს კი გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წევრი. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა დაახლოებით 90 პროცენტი ასოციაციის წევრია. ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს ამ სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში. ამ დარგში პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციამ პროფესიული ეთიკის კოდექსი და კანონმდებლობა შექმნა. უკვე 20 წელიწადია, რაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კულტურული ღონისძიებაა. ასოციაცია მუდმივად ახორციელებს და მართავს ისეთ პროექტებსა და ღონისძიებებს, როგორებიცაა თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე საქართველოში, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე საქართველოში, საქართველოს ეროვნული სტენდი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს ეროვნული სტენდი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე, ბიბლიოთეკების გაუჩერება, Books in Print („წიგნები ბეჭდვაში“, [www.booksinprint.ge](http://www.booksinprint.ge)). ამას გარდა, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით პერიოდულად იმართება პროფესიული სემინარები და სამუშაო შეხვედრები (გორქშოფი) ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებლებისთვის, ადგილობრივი წიგნის ბაზრობები საქართველოს რეგიონებში; ასევე მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მთავარი მიზანია საქართველოში საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.

## თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ისტორია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით 2018 წელს 31 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალი „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 და მე-6 პავილიონებში გაიმართება. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და იმ მცირერიცხოვან კულტურულ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის სტუმრების რაოდენობამ ბოლო წლებში 60 ათასს გადააჭარბა. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მიზანი საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობაა. წლების განმავლობაში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მინიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მედიისა და ახალი მონაწილეების მუდმივად მზარდი რაოდენობა. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ყოველწლიურად მონაწილეობს და წარმოდგენილია როგორც ქართული, ისე უცხოური გამომცემლობები, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, სახელმწიფო მუზეუმები და ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები. ფესტივალს წლების განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებიან უცხოელი მწერლები. 2018 წელს ფესტივალის საპატიო სტუმრები იქნებიან: მსოფლიო ბესტსელერის „გიკი გოგოს“ ავტორი ჰოლი სმელი; თანამედროვე რუსი მწერალი და დრამატურგი ვლადიმირ სოროკინი; მწერალი, ჟურნალისტი და წამყვანი ნორვეგიელი გამომცემლობის „კაპელენ დამის“ რედაქტორი ბერნარ ლ. მორი; გერმანიაში აღიარებული მწერალი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორი ნინო ხარატიშვილი. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 2018-ის ფოკუსქვეყანა გერმანიაა. ფესტივალის ისტორიაში პირველად იღებს მონაწილეობას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დიდი დელეგაციით ესტუმრება და მე-11 პავილიონში საკუთარი სტენდით წარდგება. ფესტივალი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ორგანიზატორებს, გერმანელ გამომცემლებსა და სამ თანამედროვე ავტორს - ულა ლენცეს, ოლგა გრიაზნოვას და კატია პეტროვსკაიას უმასპინძლებს, რომლებიც გამართავენ ღონისძიებებს და შეხვედებიან მკითხველებს. ფესტივალის ოფიციალურ გახსნას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტი იურგენ ბოსი დაესწრება.

ფესტივალის ძირითადი ნაწილი წიგნის ბაზრობაა. მასში მონაწილე გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციათა მთავარი მიზანია, სტუმრებს განსაკუთრებული ფასდაკლებით შესთავაზონ წიგნები, დამხმარე მასალა და წიგნის აქსესუარები, ასევე სპეციალური სასაჩუქრე პაკეტები. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე აერთიანებს წიგნთან, ლიტერატურასთან, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ აქტივობას - გამომცემელთა მიერ ახალი წიგნებისა და ავტორების წარდგენას, საჯარო კითხვას, შეხვედრასა და დისკუსიას ავტორებთან, საპატიო სტუმრის წარდგენას, ლიტერატურულ დაჯილდოებას, პროფესიულ სემინარსა და კონფერენციას. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წელს ფესტივალი „ექსპო ჯორჯიას“ ორ (მე-11 და მე-6) პავილიონს მოიცავს. მე-11 პავილიონში წიგნის მოყვარულთათვის სრულად იქნება წარმოდგენილი საგამომცემლო სექტორი და სხვადასხვა ორგანიზაცია. რაც შეეხება საბავშვო ნაწილს, პატარა დამთვალიერებლებს ფესტივალი წელს სიურპრიზს უმზადებს – მე-6 პავილიონი უმასპინძლებს პატარა მკითხველებს, რომლებსაც საშუალება ექნებათ ერთ სივრცეში დაათვალიერონ და შეიძინონ საბავშვო წიგნები, ასევე დაესწრონ მათთვის განკუთვნილ ღონისძიებებს და ეწვიონ მათ გასართობად საგანგებოდ მოწყობილ კუთხეს.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი წელს კიდევ ერთი სიახლით წარდგება დამთვალიერებლის წინაშე. სამი დღის განმავლობაში (1, 2 და 3 ივნისს) მე-11 პავილიონში წიგნის მოყვარულებს კინოსა და თეატრის 26 ქართველი მსახიობი უმასპინძლებს, წარადგენს წიგნებს და გამართავს საჯარო კითხვას.

გმადლობთ, რომ სტუმრობთ თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალს!

## თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფანტიკალის საკაბიო სტუმრები:



**ჰოლი სმეილი**

ბრიტანელი მწერალი. დაიბადა ინგლისში. სწავლობდა ბრისტოლის უნივერსიტეტში. მუშაობდა ინგლისური ენის მასწავლებლად იაპონიაში. 2013 წელს მისი პირველი და ძალზე წარმატებული წიგნი „გიკი გოგო“ გამოქვეყნდა, რომელმაც უამრავი ჯილდო დაიმსახურა. ამავე წელს გამოიცა მისი მეორე წიგნი Model Misfit-ი, რომელიც მან იაპონიაში ყოფნისას დაწერა. ჰოლი სმეილს დაწერილი აქვს 6 წიგნი თინეიჯერებისთვის. 2014 წელს მიიღო Waterstones Children's Book Prize-ისა და Leeds Book Award-ის ჯილდო. მისი საბოლოო წიგნი Forever Geek 2017 წელს გამოიცა.



**ვლადიმირ  
სოროკინი**

თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი რუსი მწერალი და დრამატურგი ვლადიმირ სოროკინი არაერთი რომანისა თუ პიესის ავტორია, მიღებული აქვს უმნიშვნელოვანესი ნაციონალური თუ საერთაშორისო ლიტერატურული პრემიები. მისი წიგნები, რომლებიც ამჟამად ათეულობით ენაზეა თარგმნილი, იკრძალებოდა საბჭოთა პერიოდში და რუსეთში პირველად მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა. 2002 წელს ვლადიმირ სოროკინი რუსეთში ხელმეორედ გახდა ცენზურის მსხვერპლი, როდესაც ვლადიმერ პუტინთან ასოცირებულმა ახალგაზრდულმა მოძრაობამ მწერლის წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოიწყო და ე.წ. პატრიოტულ-მართლმადიდებლური ორგანიზაციების წევრებმა მისი წიგნები საჯაროდ დაწვეს. მწერლის ვიზიტთან დაკავშირებით გამომცემლობა „ინტელექტმა“ მისი ბოლო ნაწარმოები „ქარბუქი“ (მთარგმნელი სერგო შურუნშია) გამოსცა.



**ბერნარ ლ. მორი**

ნორვეგიელი მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემლობა „კაპელენ დამის“ რედაქტორი ბერნარ ლ. მორი 1978 წელს დაიბადა. მან საქართველოში 2015 წელს იმოგზაურა და მოგვიანებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ნორვეგიულ პრესაში სტატია გამოაქვეყნა. ნორვეგიულ ლიტერატურულ ჟურნალ „ვინდუტში“ გამოქვეყნდა მისი მეორე სტატიაც თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების შესახებ. ბერნარ მორის დოკუმენტური რომანი „რატომ ირჩევენ რუსები პუტინს“ 2017 წელს გამოიცა. წიგნის ქართული თარგმანის გამოცემა ავტორის ვიზიტს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაამთხვია. 2006-2008 წწ-ში ბერნარ მორი მოსკოვში ცხოვრობდა და ადგილობრივ გაზეთში კორესპოდენტად მუშაობდა. მაშინ ჯერ კიდევ ბევრს სწამდა, რომ რუსეთის დემოკრატიული განვითარება შესაძლებელი და მოსალოდნელიც კი იყო. ათი წლის თავზე, რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ბერნარ მორი ისევ დაბრუნდა რუსეთში, ამჯერად იმისთვის, რომ მიეღო პასუხები უმთავრეს შეკითხვაზე: რატომ უჭერენ რუსები მხარს სისტემას, რომელიც დასავლური თვალთ დალიან ჰგავს მუდმივად მზარდ რეპრესიულ რეჟიმს?



ნინო ხარატიშვილი

ნინო ხარატიშვილი გერმანიაში აღიარებული მწერალი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორია. დაიბადა 1983 წელს თბილისში. მისი პიესები წარმატებით იდგმება ვენაში, მოსკოვში, ვისბადენში, ბერლინში, ჰამბურგში და ა.შ. ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს ნინო ხარატიშვილის პირველ რომანებს „ჟუჟა“ და „ჩემი საყვარელი ორეული“, ასევე პიესების კრებულს „ჩემი საშინელი ბედნიერების წელიწადი“, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ გასულ წლებში თარგმნა და გამოსცა. 2018 წლის სექტემბერში კი „ინტელექტი“ გამოსცემს მის მესამე, 1300-გვერდიან რომანს „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“, რომელიც გერმანიაში 2014 წელს გამოიცა და მაშინვე ბესტსელერად იქცა. ესაა ერთი ქართული ოჯახის ასწლოვანი საგა, რომელმაც გერმანელი კრიტიკოსებისა და მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა, „შპიგელმა“ კი ეს ნაწარმოები „2014 წლის რომანად“ მიიჩნია. გერმანულ მედიაშივე წერდნენ, რომ ნინო ხარატიშვილმა ამ რომანით დაიმკვიდრა თავი, როგორც მისი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე საინტერესო და გამორჩეულმა მწერალმა.



## თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა – გერმანია

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე 2018 წლის ოქტომბერში საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება. სწორედ ამან განაპირობა, რომ, ტრადიციისამებრ, წელს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წიგნის გამომცემელთა და გამავცელებელთა ასოციაციამ ფოკუს ქვეყნად გერმანია აირჩია.


ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, სამი ავტორი და ორი გამომცემელი თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალის საგანგებო სტუმრები არიან.

ფრანკფურტის წიგნის ხუთ დღიანი ბაზრობა უდიდესია მთელ მსოფლიოში და ნახევარ მილიონამდე დამთვალიერებელი ჰყავს. მასში ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი, ლიტერატურული აგენტი, მწერალი, წიგნით მოვაჭრე და ჟურნალისტი მონაწილეობს. ბაზრობაზე ყოველწლიურად წარმოდგენილია ასობით ათასი დასახელების წიგნი. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ოთხი გერმანული ორგანიზაცია: Schweizerbart / Borntraeger Science Publishers ([www.schweizerbart.com](http://www.schweizerbart.com)); DOM publisher ([www.dom-publishers.com](http://www.dom-publishers.com)); Museum für Vor- und Frühgeschichte ([www.neues-museum.de](http://www.neues-museum.de)); Kurt Wolff Stiftung ([www.kurt-wolff-stiftung.de](http://www.kurt-wolff-stiftung.de))



კატია პეტროვსკაია

კატია პეტროვსკაია 1970 წელს კიევში დაიბადა. უკრაინელმა ავტორმა ლიტერატურის მეცნიერებები და სლავისტიკა ესტონეთში, ქალაქ ტარტუში შეისწავლა, ხოლო დოქტორის ხარისხი მოსკოვში რუსული ლიტერატურის განხრით მიიღო. 1999 წელს კატია საცხოვრებლად ბერლინში გადავიდა და საქმიანობა სხვადასხვა რუსულ და გერმანულ მედიაჯგუფში დაიწყო. მას ნაწარმოების Vielleicht Esther შექმნის შემდეგ 2013 წელს ინგებორგ ბახმანის ლიტერატურული პრიზი გადაეცა. ნაწარმოები Vielleicht Esther სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდა და 20 ენაზე ითარგმნა. ავტორი ამჟამად ფრანკფურტის წამყვანი გაზეთის Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung-ის მიმომხილველია.



სტეფან ვაიდლე

სტეფან ვაიდლე 1953 წელს ქალაქ შტუტგარტში დაბადებული მთარგმნელი, ლექტორი და გამომცემელია. გარკვეული დროის განმავლობაში იგი ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1994 წელს კი ქალაქ ბონში საკუთარი გამომცემლობა დააფუძნა. ვაიდლეს ეკუთვნის არაერთი პრიზი, რომელთა შორისაა კურტ ვოლფის (2005) და კარლ ჰაინც ზილმერის (2000) პრიზები. მრავალი წლის განმავლობაში ის კურტ ვოლფის სახელობის ფონდს ხელმძღვანელობდა. სტეფან ვაიდლე ამჟამად ბონსა და ბერლინში ცხოვრობს.



ულა ლენცე

ულა ლენცე 1973 წელს დაიბადა. მისი დებიუტი 2003 წელს, მრავალგზის დაჯილდოებული რომანით Schwester und Brüder, შედგა. ავტორის ბოლო დროის რომანებია Der kleine Rest des Todes (2012) და Die endlose Stadt (2015). ულა ლენცე დამასკოში, მუმბაიში, სტამბოლსა და ვენეციაში Writer-in-Residence-ის სტატუსით იმყოფებოდა. გერმანული რადიოს კულტურის სეგმენტისათვის დაწერილი ტექსტების გარდა, ავტორი სხვადასხვა ცნობილი გაზეთისათვის, კერძოდ DIE ZEIT, NZZ, FAZ, და TAZ, სამოგზაურო ხასიათის მხატვრულ რეპორტაჟებს ამზადებდა. 2016 წელს ულა ლენცემ თავისი შემოქმედებისათვის ლიტერატურული პრიზი – Literaturpreis des Kulturkreises der deutschen Wirtschaft – მიიღო.





ოლგა გრიაზნოვა

ოლგა გრიაზნოვა დაიბადა 1984 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქში, ბაქოში. იგი დიდხანს ცხოვრობდა უცხოეთში, კერძოდ, პოლონეთში, რუსეთში, ისრაელსა და თურქეთში. მისი ნაწარმოები Der Russe ist einer, der Birken liebt არაერთხელ დაჯილდოვდა. 2014 წელს გამოვიდა მისი მომდევნო რომანი Die juristische Unschärfe einer Ehe. ორივე ნაწარმოები თეატრალური წარმოდგენისთვის დამუშავდა. ამჟამად, ორივე წიგნის მიხედვით იღებენ ფილმებს. 2017 წელს შეიქმნა ოლგას კიდევ ერთი რომანი Gott ist nicht schüchtern. 2018 წლის მაისში ფრანკფურტის თეატრ Schauspiel Frankfurt-ში დაიდგა მისი მონოლოგი Abstruz.



ფილიპ მუსერი


პროფესიით არქიტექტორი და გამომცემელი, დოქტორი ფილიპ მუსერი დაიბადა 1969 წელს. ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლისას, იგი კონრად ადენაუერის სტიპენდიატი იყო. სტაჟირება WDR-სა (კიოლნი) და Bauwelt-ში გაირა. სარედაქციო საქმიანობას ციურიხის გაზეთ Neue Züricher Zeitung-ში ეწეოდა. დიპლომის შემდგომი ხარისხი კი ციურიხის ფედერალურ ინსტიტუტში არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის განხრით მიიღო. 2015 წელს დოქტორის ხარისხი მიენიჭა ნაშრომისთვის „საბჭოთა კავშირის არქიტექტურა სტალინისა და გლასნოსტს შორის“.



## ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი N 150;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 91 09 54;  
+995 322 47 60 18;  
+995 591 19 49 50  
ელ. ფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge); [Tinak@sulakauri.ge](mailto:Tinak@sulakauri.ge)  
საკონტაქტო პირი: თინა კუხიანიძე  
ვებგვერდი: [www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა.



## ბუქკაფე

მისამართი: გურამიშვილის გამზირი N 15;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 55 05 54  
ელ. ფოსტა: [Bookcafe841@gmail.com](mailto:Bookcafe841@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

საგამომცემლო გაერთიანება Bookcafe დაარსდა 2014 წელს. Bookcafe წიგნის მოყვარულებს სთავაზობს სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის გამოცემების ფართო სპექტრს, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე საგანმანათლებლო წიგნებს. Bookcafe უზრუნველყოფს მხატვრული და საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებას, რაც ხელს უწყობს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში.



## ბუქმანია

მისამართი: ე. მაღალაშვილის ქ. N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 597 02-90-34; +995 568 10-54-67  
ელ. ფოსტა: 2017bookmania@gmail.com  
საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია

სადისტრიბუციო კომპანია „ბუქმანია“  
2017 წელს დაარსდა. დაარსების დღიდან  
ორგანიზაცია სხვადასხვა ტიპის წიგნების  
დისტრიბუციას ახორციელებს.

## გამომცემლობა „აგორა“

მისამართი: უზნაძის ქ. N 2;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 555 54 19 00  
ელ. ფოსტა: agorangeo@hotmail.com;  
agoraeka@yahoo.com  
საკონტაქტო პირი: მარინა ბალავაძე; ეკა  
ჩაჩხიანი  
ვებგვერდი: [www.agorabooks.ge](http://www.agorabooks.ge)

გამომცემლობა „აგორა“ დაარსდა 2006  
წელს. მისი საგამომცემლო პრიორიტეტია  
მხატვრული ლიტერატურის თარგმანები.  
გამომცემლობა „აგორას“ დღემდე  
გამოცემული აქვს ორასამდე დასახელების  
წიგნი. „აგორას“ მიერ გამოცემულია  
ამერიკელი, ბელგიელი, შვეიცარიელი,  
იტალიელი, ახალზელანდიელი, კანადელი,  
თურქი და ყველაზე დიდი რაოდენობით,  
ფრანგი კლასიკური თუ თანამედროვე  
მწერლების ნაწარმოებები. ფრანგული  
კულტურის გავრცელებაში განსაკუთრებული  
წვლილის შეტანისათვის გამომცემლობა  
„აგორას“ დირექტორი მარინა ბალავაძე  
საფრანგეთის მთავრობამ 2014 წელს  
დააჯილდოვა ორდენით და მიანიჭა წოდება:  
ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის  
კავალერი.



## გამომცემლობა „ალეფი“

■  
მისამართი: ი. ხვიჩიას ქ. N 5;  
თბილისი საქართველო  
ტელ: +995 571 30 12 52  
ელ. ფოსტა: [aleph.publishing@gmail.com](mailto:aleph.publishing@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ბექა სამუკაშვილი  
ვებგვერდი: [www.facebook.com](http://www.facebook.com)

გამომცემლობა „ალეფი“ დაარსდა 2013 წელს. ძირითადად, გამოსცემს უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.



## გამომცემლობა „არეთე“, „პარნასი“ ჯგუფი

■  
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 22;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 02 55  
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია

გამომცემლობა „არეთე“ დაარსდა 2003 წელს. მას შემდეგ „არეთეს“ 50-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული, საბავშვო და სამეცნიერო ლიტერატურა. ამჟამად „არეთეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია: ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების სრული კრებული, მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანები სერიით „აუცილებელი საკითხავი“, ჯორჯ მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“.



გამომცემლობა  
არტანუჯი



## გამომცემლობა „არტანუჯი“


მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 05 22  
ელ. ფოსტა: info@artanuji.ge  
საკონტაქტო პირი: მაია კუდავა  
ვებგვერდი: www.artanuji.ge

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს დაარსდა. გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა საისტორიო-სამეცნიერო თემატიკა. საისტორიო მიმართულების პარალელურად, „არტანუჯი“ გამოსცემს მხატვრულ, შემეცნებით, პოლიტიკურ ლიტერატურას, პოპულარულ ადამიანთა ავტობიოგრაფიებს, ლექსიკონებს და სხვ. „არტანუჯი“ ლიდერია ღია ბარათების მრავალფეროვნებისა და ხარისხის თვალსაზრისით.

## გამომცემლობა „ბაკმი“

მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის გამზირი N 7; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 72 54 99; +995 597 75 65 35  
ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com  
საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე  
ვებგვერდი: www.bakmi.ge

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები.



## გამომცემლობა „დიოგენე“

მისამართი: ბ. აფაქიძის ქ. N 9;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 21 33 21  
ელ. ფოსტა: [m.khutsishvili@diogene.ge](mailto:m.khutsishvili@diogene.ge); [adm@diogene.ge](mailto:adm@diogene.ge)  
საკონტაქტო პირი: მაია ხუციშვილი  
ვებგვერდი: [www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და წევრი – გამომცემლობა „დიოგენე“ დაარსდა 1995 წელს. „დიოგენეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია საგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურა. გამომცემლობა წლიურად დაახლოებით 40 სხვადასხვა დასახელების წიგნს გამოსცემს.



## გამომცემლობა „ინდიგო“

მისამართი: ირ. აბაშიძის ქ. N 24ა;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 555 57 45 45  
ელ .ფოსტა: [indigo.magazine.2015@gmail.com](mailto:indigo.magazine.2015@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: თაკო პაპაგა  
ვებგვერდი: [www.indigo.com.ge](http://www.indigo.com.ge)

გამომცემლობა ინდიგო გამოსცემს პერიოდიკას: ყოველთვიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს „ინდიგო“, ასევე ინგლისურენოვანი ესეების, რეპორტაჟებისა და ინტერვიუების კრებულს წელიწადში ორჯერ და სეზონურ გამოსცემას მოგზაურთათვის. 2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო თანამედროვე ლიტერატურის, დოკუმენტური პროზისა და პოეზიის გამოსცემაც.



გამომცემლობა  
„ინტელექტი“



## გამომცემლობა „ინტელექტი“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 05 22  
ელ. ფოსტა: [intelekti@caucasus.net](mailto:intelekti@caucasus.net)  
საკონტაქტო პირი: კახმეგ კუდაგა  
ვებგვერდი: [www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge)

გამომცემლობა „ინტელექტი“ 1994 წელს დაარსდა. ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული ორგანიზაციაა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და საგამომცემლო სივრცეში. სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული და არაქართულენოვანი სკოლებისთვის; კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა; მსოფლიო ლიტერატურის შედეგები და უმნიშვნელოვანესი ავტორები, რომლებსაც პირველად გაეცნო ქართველი მკითხველი; ცნობილი მწერლების დღიურები და ჩანაწერები – ის თემები და პროექტებია, რომლებზეც ოც წელზე მეტია მუშაობს „ინტელექტი“.

## გამომცემლობა „კლიო“

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი N 181;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 34 04 30  
ელ. ფოსტა: [book@klio.ge](mailto:book@klio.ge)  
საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი

გამომცემლობა დაფუძნდა 2003 წელს. სახელიდან გამომდინარე, „კლიო“ თავდაპირველი მიმართულება ისტორიული წიგნები გახლდათ. 2008 წლიდან „კლიო“ ჩაება სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში. ამჟამად გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა არამხატვრული და სასწავლო-დამხმარე ლიტერატურა.



## გამომცემლობა „მერიდიანი“

მისამართი: ყაზბეგის გამზირი N 47;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 39 15 22;  
+995 599 54 17 07;  
+995 599 23 51 78  
ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com  
საკონტაქტო პირები: კახაბერ რუსიძე; მარინა  
კილაძე

გამომცემლობა დაფუძნდა 2003 წელს. სახელიდან გამომდინარე, „კლიოს“ თავდაპირველი მიმართულება ისტორიული წიგნები გახლდათ. 2008 წლიდან „კლიო“ ჩაება სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში. ამჟამად გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა არამხატვრული და სასწავლო-დამხმარე ლიტერატურა.



## „გამომცემლობა პალიტრა L“

მისამართი: იოსებძის ქ. N 49;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 38 38 71  
ელ. ფოსტა: book@palitra.ge  
საკონტაქტო პირი: ნათია ზაქრაძე  
ვებგვერდი: www.palitra.ge

„პალიტრა L“ 2005 წელს დაარსდა მისიით, გაედრმაგებინა წიგნის სიყვარული საზოგადოებაში, დღეს კი საქართველოში ყველაზე დიდი და წარმატებული კომპანიაა, რომელიც წლის განმავლობაში 500-ზე მეტი დასახელების წიგნს გამოსცემს. მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე ბესტსელერები, თინეიჯერული მიმართულება „ლიბერთინსი“, ბიზნეს ლიტერატურა „ლურჯი ოკეანე“, ლიტ. კონკურსი „გახდი ბესტსელერის ავტორი“ წარმატებული პროექტების მცირე ჩამონათვალია. გამომცემლობა ამაყობს, რომ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის განვითარებაში, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნასა და ახალი თაობის წიგნით დაინტერესებაში.





## პედაგოგიკა

### გამომცემლობა „პედაგოგიკა“

მისამართი: ფალიაშვილის ქ. N 15;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 23 39;  
+995 555 52 44 66;  
+995 577 40 08 49

ელ. ფოსტა: [g.pedagogika@yahoo.com](mailto:g.pedagogika@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: ირინა რუხაძე  
ვებგვერდი: [www.pedagogika.ge](http://www.pedagogika.ge)

გამომცემლობა „პედაგოგიკა“ 1994 წელს დაარსდა და გამოსცემს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურას. გამომცემლობის აუდიტორიაა სტუდენტები, მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები და განათლების სფეროს სპეციალისტები. გამომცემლობის წიგნები შექმნილია მაღალკვალიფიციური ავტორების – საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისა და სერტიფიცირებული პედაგოგების მიერ. გამომცემლობა „პედაგოგიკის“ წიგნები პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოირჩევა დახვეწილი დიზაინითა და საუკეთესო პოლიგრაფიული ხარისხით.



### გამომცემლობა „პოეზია“

მისამართი: ყიფშიძის ქ. N 2;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 53 78 87  
ელ. ფოსტა: [nalhazishvili@poeziapress.org](mailto:nalhazishvili@poeziapress.org)  
საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი

გამომცემლობა „პოეზიას“ პრიორიტეტია ქართული პოეზიის თარგმნა უცხოურ ენებზე და უცხოური პუბლიცისტიკის თარგმნა ქართულად. გამომცემლობის პირველმა წიგნმა – ლინ კოფინის მიერ ინგლისურად თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ 2016 წელს ქართული ლიტერატურის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია „საბა“ დაიმსახურა. ასევე გამოიცა ფ. ქაზემზადეს ისტორიული მონოგრაფია „ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921“ და „ვეფხისტყაოსნის“ რჩეული აფორიზმები ქართულ და ინგლისურ ენაზე. 2018 წელს გამოიცა ერიკ ლის წიგნი «ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921».



## გამომცემლობა „რემედას“



ელ. ფოსტა: [Remedas.publishing@gmail.com](mailto:Remedas.publishing@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: გიორგი არზიანი  
ვებგვერდი: [www.Remedas.ge](http://www.Remedas.ge)

„რემედას“ არის დამოუკიდებელი  
გამომცემლობა, რომლის სპეციალიზაციაა  
ნაშრომები ფილოსოფიურ  
ანტროპოლოგიაზე, პოლიტეკონომიასა და  
კულტურის თეორიაზე.



## გამომცემლობა „საქნიგნი“



მისამართი: თამარ მეფის გამზირი N 14;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 96 90 70  
ელ. ფოსტა: [sactsigni@yahoo.com](mailto:sactsigni@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: ლია მებრეგელი

შპს „საქნიგნი“ წიგნის სფეროში 1932  
წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაცია  
სტაბილურად განაგრძობს განვითარებას.  
მისი საქმიანობა მოიცავს საგამომცემლო,  
სავაჭრო და სადისტრიბუციო სფეროებს.  
ორგანიზაციას აქვს მალაზიების ქსელი  
როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.



## გამომცემლობა „საზანი“

მისამართი: წერეთლის გამზირი N 140;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 35 70 02;  
+995 599 67 77 56  
ელ. ფოსტა: [irinacezanne@gmail.com](mailto:irinacezanne@gmail.com);  
[mananakartozia@yahoo.com](mailto:mananakartozia@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი

„სეზანი“ სახელოვანი გერმანული ფირმის „ჰაიდელბერგის“ პარტნიორი საწარმოა და ევროპულ ხარისხს ამკვიდრებს ქართულ ბაზარზე. მისი საგამომცემლო ჯგუფი 10 წლის წინათ შეიქმნა და მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს, ღირსეული ეროვნული პროდუქციის შექმნას. ვგულისხმობთ მასშტაბურ პროექტს „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“. საგანგებოდ 2018 წლის ფრანკფურტის ბაზრობისთვის მოვამზადეთ გერმანულ-ქართული გამოცემები. ბავშვებს ორ წიგნად ვთავაზობთ გერმანელი მეზღაპრის ვილჰელმ ჰაუფის „პატარა მუკის თავგადასავალს“ და დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს.

## გამომცემლობა „სიესტა“

მისამართი: ა. აფაქიძის ქ. N 9;  
თბილისი, საქართველო  
ელ. ფოსტა: [books@sietagroup.ge](mailto:books@sietagroup.ge)  
საკონტაქტო პირი: ქეთევან კილურაძე

დამოუკიდებელი საგამომცემლო სახლი „სიესტა“ 2004 წელს დაარსდა. ჩვენი საგამომცემლო პოლიტიკის მიზანია ხარისხიანი მხატვრული ლიტერატურის გამოცემა. „სიესტა“ მხოლოდ ორიგინალის ენიდან თარგმნის ლიტერატურას, რაც ჩვენი გამოცემების ხარისხზე აისახება. თარგმანის მიმართულებით, ძირითადად, თანამედროვე კლასიკოს ავტორებს გამოვცემთ. ქართული ლიტერატურის მხრივ ჩვენთვის პრიორიტეტულია დებიუტანტი ქართველი მწერლების მოძიება და მათი ნაწარმოებების გამოცემა, რის შედეგადაც შეიქმნა სერია „თანამედროვე ქართული პროზა“. 15 წლიანი საქმიანობის განმავლობაში „სიესტას“ 350-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული. იკითხეთ სიესტა!

# 20/21



## გამომცემლობა „ქართული“

მისამართი: იოსებძის ქ. N 71;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 591 60 00 59  
ელ. ფოსტა: gamomcemloba.qartuli@gmail.com  
საკონტაქტო პირი: ზუკა კბილაძე

გამომცემლობა „ქართული“ დაარსდა 2009 წელს. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას. გარდა საბავშვო ლიტერატურისა, „ქართული“ პერიოდულად გამოსცემს მხატვრულ ლიტერატურასა და კულინარიულ გამოცემებს.



## გამომცემლობა „შემეცნება“

მისამართი: ა. ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 260 23 15;  
+995 599 550 554  
ელ.ფოსტა: info@shemetsneba.ge  
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

გამომცემლობა „შემეცნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-14 წელია კულტურის, განათლებისა და ლიტერატურის სამსახურშია. გამომცემლობის შექმნის იდეა 2004 წელს ფრანკფურტში დაიბადა, როდესაც მისი დამფუძნებელი, დირექტორი, საბავშვო წიგნების, სახელმძღვანელოების ავტორი ლია შალვაშვილი, ვიზიტორის სტატუსით იმყოფებოდა წიგნის ბაზრობაზე. დროთა განმავლობაში გამომცემლობა „შემეცნება“ გაფართოვდა. ამჟამად ძირითადი საგამომცემლო პრიორიტეტებია: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები.



## გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“

მისამართი: რუსთავი, მე-7 მიკრ., N 26/43;  
რუსთავი, საქართველო  
ტელ: +995 599 58 42 49  
ელ. ფოსტა: info@angelread.com  
საკონტაქტო პირი: მაია ბერიძე

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება წიგნის მოყვარულთა სამოთხეში სახელწოდებით „შემოქმედი ანგელოზი“! აქ თქვენ გიმასპინძლებენ მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ჰაეროვანი საბავშვო წიგნები, ისტორიული კვლევების შედეგები, საგანმანათლებლო მასალები და სახელმძღვანელოები და სხვა ბეჭდური საოცრებები, რომლებთანაც შეხვედრა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე. ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპიც ხომ ამას ქადაგებს: „მათვის, ვინც წიგნებით სულდგმულობს, მათგან, ვინც ისტორიებით საზრდოობს!“

## გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“

მისამართი: ი. ნიკოლაძის N 5ა;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 593 39 59 91  
ელ. ფოსტა: ninia@booksinbatumi.ge  
საკონტაქტო პირი: ნინია მაჭარაშვილი

გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ 2015 წელს დაარსდა. სამი წლის განმავლობაში გამომცემლობაში ორასზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის სერიები ათეულობით ბესტსელერ წიგნებს აერთიანებს. ადგილობრივ წიგნის ბაზარზე გამომცემლობა გამოირჩევა ფენტიებისა და ფანტასტიკის ჟანრის თარგმანების სიმრავლით. გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველ ავტორებს და უკვე გამოცემული აქვს მრავალი ავტორის შემოქმედება. გამომცემლობის წიგნები გამოირჩევა ყდის განსაკუთრებული დიზაინითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.



## გამომცემლობა „წიგნი+ერი“

მისამართი: არზაყან ემუხბარის ქ. N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 30 85 27;  
+995 571 13 12 11  
ელ. ფოსტა: [contact@tsignieri.ge](mailto:contact@tsignieri.ge); [mzia\\_r@yahoo.com](mailto:mzia_r@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: მზია რაზმაძე  
ვებგვერდი: [www.books.tsignieri.ge](http://www.books.tsignieri.ge)

გამომცემლობა „წიგნი+ერი“ დაარსდა 2012 წლის აპრილში, მისი დამფუძნებელია ჰაატა ხუნაშვილი. „წიგნი+ერი“ გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. გამოცემულია, მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელშიც საქართველოს სულიერი და მატერიალური ფასეულობებია ასახული. ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური) გამოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. ასევე გამოიცა სასკოლო ენციკლოპედია, ქართული, უცხოური ზღაპრები. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა ანვითარებს, ფსიქოლოგიაა.

## ელფის გამომცემლობა

მისამართი: კარტოზიას ქ. N 8. კორპუსი N 9, მე-2 სართული; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 92 35 70;  
+995 599 36 53 73  
ელ. ფოსტა: [office@elf.ge](mailto:office@elf.ge); [adm@elf.ge](mailto:adm@elf.ge)  
საკონტაქტო პირი: ნინო გიგაური  
ვებგვერდი: [www.elf.ge](http://www.elf.ge);  
[www.facebook.com/Elf.Publishing.House/](http://www.facebook.com/Elf.Publishing.House/)

„ელფის“ გამომცემლობა 1996 წლის მარტში დაარსდა. მისი დამფუძნებელი პროფესიით ჟურნალისტი და მთარგმნელი თინათინ დიდებულიძე გახლავთ. „ელფის“ გამომცემლობა თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ და უმსხვილეს გამომცემლობებთან, ასევე ყოველწლიურად წარმოდგენილია ფრანკფურტის (გერმანია) წიგნის და ბოლონიის (იტალია) საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. დღესდღეობით „ელფის“ გამომცემლობა ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობაა საქართველოში. საგამომცემლო პრიორიტეტები: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ატლასები და სხვა.



## „ერუდიტი“

მისამართი: ნუცუბიძის ქ. N 16;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 37 31 81;  
+995 593 15 09 64  
ელ. ფოსტა: imedi@gol.ge; tadtaev50@gmail.com  
საკონტაქტო პირი: გრიგოლ ტადტაევი

კომპანია თანამშრომლობს 30-ზე მეტ წამყვან რუსულ გამომცემლობასთან. მალაზიაში ძირითადად წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. ასევე აქვს მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩევანი. მიიღება წინასწარი შეკვეთები ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.

## „გებრა გრუპ“

მისამართი: ბახტრიონის ქ. N 28;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 593 93 98 12;  
+995 322 30 81 23  
ელ. ფოსტა: mkasradzefr@yahoo.fr  
საკონტაქტო პირი: მარიამ კასრაძე

„გებრა გრუპ“, რომელიც 2008 წელს დაარსდა, ძირითადად, ყველა ასაკის საბავშვო ლიტერატურას გამოსცემს.



თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის კლასიკური  
ფილოლოგიის, ბიზანტინიკისა  
და ნეოგრაფიკის ინსტიტუტი,  
პროგრამა „ლოგოსი“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 13;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 02 58  
ელ. ფოსტა: kevlivili13@gmail.com  
საკონტაქტო პირი: გორა კველიშვილი

ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წელს ბერძნული  
და რომაული ფილოლოგიის სფეროში,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში  
უკვე არსებული სასწავლო და სამეცნიერო  
ქვედანაყოფების გაერთიანების  
საფუძველზე. ინსტიტუტის აკადემიური  
სექტორი წამოდგენილია სამი  
მიმართულებით: კლასიკური ფილოლოგია,  
ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი  
ბერძნული ფილოლოგია. ინსტიტუტს აქვს  
საკუთარი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და  
საკონფერენციო ცენტრები.



თსუ გამომცემლობა - თსუ წიგნის  
პალატი ქსელი Scripta Manent

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 14;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 98 98 46  
ელ. ფოსტა: bookstore@tsu.ge  
საკონტაქტო პირი: თათია მთვარელიძე

თსუ გამომცემლობა დაარსდა 1933 წელს.  
ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შემადგენელი ნაწილია. გამოსცემს როგორც  
სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურას,  
ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებს.  
2015 წლიდან ფუნქციონირებს თსუ წიგნის  
მაღაზიათა ქსელი Scripta Manent. მაღაზიები  
განთავსებულია თსუ-ს პირველ და მაღლივ  
კორპუსებში. გამომცემლობისა და წიგნის  
მაღაზიათა ქსელის მიზანია ხელი შეუწყოს  
უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო,  
საგანმანათლებლო საქმიანობის  
წარმატებით განხორციელებას და  
საინტერესო ლიტერატურა შესთავაზოს  
ქართველ მკითხველს.





## ი/მ „ირინა ღენეიკინა“

მისამართი: ძმები ფიფიების ქ. N 25;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 593 57 75 36  
ელ. ფოსტა: mtania55@yandex.ru  
საკონტაქტო პირი: ელენა მარდოიანი

სადისტრიბუციო კომპანია წიგნის ბაზარზე  
ფუნქციონირებს 2011 წლიდან. ორგანიზაცია  
თანამშრომლობს 20-ზე მეტ რუსულ  
გამომცემლობასთან და ახორციელებს  
სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის იმპორტს  
საქართველოში, კერძოდ საბავშვო,  
მხატვრული, სასწავლო-საგანმანათლებლო  
და სხვა. ორგანიზაცია იღებს შეკვეთებს  
ნებისმიერი თემისთვის ლიტერატურაზე.

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი N 3/5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 10 59 11  
ელ. ფოსტა: library@iliauni.edu.ge  
საკონტაქტო პირი: თელა ყაველაშვილი

ილიაუნის ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი  
ფონდი მოიცავს სხვადასხვა ენაზე  
შესრულებულ 2 მილიონამდე მონოგრაფიას,  
სახელმძღვანელოს, პერიოდულ  
გამოცემას, ელექტრონულ რესურსს და  
ა. შ. ბიბლიოთეკა ზრუნავს და პასუხს  
აგებს არსებული კოლექციების დაცვასა  
და განვითარებაზე. მომხმარებლისათვის  
მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების  
გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომს  
და ადვილად გამოყენებადს ხდის  
საინფორმაციო რესურსს. (ებს.)



## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემალობა

მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი N 3/5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 577 23 77 49  
ელ. ფოსტა: [gjgakekelia@iliauni.edu.ge](mailto:gjgakekelia@iliauni.edu.ge)  
საკონტაქტო პირი: გრიგოლ კეკელია

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი პროცესების წარმართვას, რისთვისაც: გამოსცემს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის შედეგებს; უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოებს; თარგმნის და გამოსცემს ამა თუ იმ დარგის საუკეთესო სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურას; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სასწავლო მასალებით (რიდერებით, ტესტებით, კითხვარებით და ა. შ.), ბეჭდავს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო და სარეკლამო პროდუქციას; გამომცემლობამ 2006 წლიდან დღემდე 200-ზე მეტი წიგნი, ჟურნალი და სახელმძღვანელო გამოსცა.



## ინგლისური წიგნი საქართველოში

მისამართი: ვეფხისტყაოსნის ქ. N 92;  
თბილისი, საქართველო  
ელ. ფოსტა: [englishbookteam@englishbook.ge](mailto:englishbookteam@englishbook.ge)  
საკონტაქტო პირი: მიხეილ გურგენიძე

„ინგლისური წიგნი საქართველოში“ – მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობების: Macmillan Education, Pearson Education, Oxford University Press, Cambridge University Press, Penguin Publishers, Scholastic, DK Publishers, Hachette, Harper Collins და ა.შ. წარმომადგენელია საქართველოში. წიგნების შეძენა შესაძლებელია ვებ-მისამართზე [www.onlinebookshop.ge](http://www.onlinebookshop.ge) ან მაღაზიაში - ქ.თბილისი, ჭავჭავაძის N14.



## ოლმა

მისამართი: ქ.თბილისი ფიფიების ქ. N 8;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 597 10 62 17  
ელ. ფოსტა: info@olma.ge  
ვებგვერდი: www.olma.ge

წიგნის მაღაზია „ოლმას“ 10 წელზე მეტია თბილისში რუსული წიგნების ფართო არჩევანი შემოაქვს; იღებს ასევე შეკვეთებს. „ოლმას“ კატალოგი გამოირჩევა რუსული გამოცემების მრავალფეროვნებით. წიგნები განკუთვნილია მკითხველის ფართო სპექტრისთვის: ფიქცია, საგანმანათლებლო ლიტერატურა (სკოლებისა და უნივერსიტეტების სახელმძღვანელოები), სამეცნიერო ლიტერატურა, ბიზნეს ლიტერატურა, ბავშვთა ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ეზოთერიკა, განვითარების სარგებელი და ა.შ.

წიგნის მაღაზიაში წარმოდგენილია შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებელი მრავალფეროვანი სათამაშოები და საგანმანათლებლო თამაშები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის.

## პრემიერი 2015

მისამართი: ქყონდიდელის ქ. N 26;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 91 00 24;  
+995 322 69 09 01  
ელ. ფოსტა: d.jvarsheishvili@premieri.ge  
საკონტაქტო პირი: დავით ჯვარშიეშივილი





## სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი N 17 ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 50 02 01;  
+995 571 03 00 70  
ელ. ფოსტა: iriatoni@gmail.com  
საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ კორტავა

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“ დაარსდა 2013 წელს და მას შემდეგ წარმატებით ავრცელებს ქვეყნის წამყვანი გამომცემლობების („აზრი“, „არტეც“, „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „ლაზარე“, „ლოგოს პრესი“, „წიგნები ბათუმში“, „ზებრა გრუპ“) წიგნებს მთელი საქართველოს მასშტაბით. „ირიათონი“ წიგნებით ამარაგებს თბილისსა და რეგიონებში არსებულ ყველა მოქმედ წიგნის მაღაზიას.



## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაეროსეკლობა „კენტავრი“

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი N 40;  
თბილისი, საქართველო  
ელ. ფოსტა: kentavri@tafu.edu.ge  
საკონტაქტო პირი: მაკა ვასაძე; მარიამ იაშვილი  
გებგვერდი: www.tafu.edu.ge

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“ საუნივერსიტეტო გამომცემლობაა, რომელიც აერთიანებს სტუდენტურ გაზეთს „დურუჯი“, სახელოვნებო მეცნიერებაში მოღვაწეთა საერთაშორისო, რეფერირებული შრომების კრებულს „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“; აგრეთვე აქვეყნებს: სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ცნობარებს, ქრესტომათიებს, თარგმანებს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წიგნებს, სხვა სახის გამომცემებს. გამომცემლობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბრიტანეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.



## „ქარჩხაძის გამომცემლობა“

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვ.  
N 17/6; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 51 45 27  
ელ. ფოსტა: [info@karchkhadze.ge](mailto:info@karchkhadze.ge)  
საკონტაქტო პირი: გია ქარჩხაძე  
ვებგვერდი: [www.karchkhadze.ge](http://www.karchkhadze.ge)

ქარჩხაძის გამომცემლობა გამოსცემს საბავშვო წიგნებს, მხატვრულ და არამხატვრულ ლიტერატურას, ენციკლოპედიებსა და ატლასებს; ქართულ და უცხოურ პროზასა და პოეზიას; ხელოვნების და კულტურული მემკვიდრეობის ალბომებსა და კულინარიულ წიგნებს.

## წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“

მისამართი: ქაგჭავჭავაძის გამზირი N 17 ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 47 55 35;  
+995 595 38 48 47  
ელ. ფოსტა: [ninokatsiashvili@gmail.com](mailto:ninokatsiashvili@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ნინო კაციაშვილი  
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/ShakroBabua/>

წიგნის მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში არსებული გამომცემლობების წიგნები. ძირითადად მოიცავს 2000 წლიდან ამ დრომდე გამოცემულ ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ისე სამეცნიეროს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ეროვნული უმცირესობების (აზერბაიჯანული) ენაზე. წიგნის მაღაზია თავის სივრცეში ორგანიზებას უწევს მრავალ ქართველ და უცხოელ ავტორთან შეხვედრას, საჭარო ლექციას თუ წიგნის პრეზენტაციას.





## წიგნის მაღაზია „წიგნები ვაკეში“

მისამართი: ფალიაშვილის ქ. N 66;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 23 29 80  
ელ. ფოსტა: info@booksin.ge; mariamkik@yahoo.com  
საკონტაქტო პირი: მარიამ კიკაჩიანი

„წიგნები ვაკეში“ დაარსდა 2009 წელს.  
„წიგნები ვაკეში“ არის წიგნების მაღაზია,  
რომელშიც წარმოდგენილია ქართული  
და უცხოური გამოცემები ნებისმიერი  
ასაკისათვის, საკანცელარიო პროდუქცია,  
საბავშვო საჩუქრები. მიიღება კერძო  
შეკვეთები ქართულ, რუსულ და ინგლისურ  
წიგნებზე. ყველა საჭირო წიგნი ერთ  
მაღაზიაში!



## წიგნის სამყარო

მისამართი: დიდი დილომი, კრისტიან სტივენის ქ.  
N 38; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 61 41 21;  
+995 551 31 22 27  
ელ. ფოსტა: sopo@bookland.ge  
საკონტაქტო პირი: სოფო კურტანიძე  
ვებგვერდი: www.e-bookland.ge

წიგნის სამყარო 2005 წელს დაარსდა. მისი  
საქმიანობა წიგნიერების გავრცელება,  
საქართველოს ყველა ბიბლიოთეკის წიგნადი  
ფონდების შევსება, საცალო და საბითუმო  
ქსელის მომარაგება და საგამომცემლო  
სფეროში ყველა სახის კონსულტაციაა.

# არტი და კრაფტი



## „არტი და კრაფტი“

მისამართი: კანდელაკის ქ. N 7;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 597 74 74 01  
ელ. ფოსტა: [marketing@biblusi.ge](mailto:marketing@biblusi.ge)  
საკონტაქტო პირი: თამარ ლაჭავაძე

„არტი და კრაფტის“ სახელოსნო „ბიბლუსის“ ერთ-ერთი მიმართულებაა, სადაც შეგიძლიათ შეისწავლოთ ხელნაკეთი ნივთების დამზადება და შეიძინოთ ხელსაქმისთვის საჭირო მასალა.

## ააფ-მენეჯმენტი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი N41,  
III სართული; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 39 33 47;  
+995 322 39 57 26;  
+995 593 32 27 05;  
+995 599 11 10 01  
ელ. ფოსტა: [info@aaf.ge](mailto:info@aaf.ge)  
საკონტაქტო პირი: ელზა ოთიაშვილი; მამუკა  
ელგენდარაშვილი.

ააფ-მენეჯმენტი ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. კერძოდ კი უშვებს ჟურნალებს - „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ და „ბიზნესი და მენეჯმენტი“. და ასევე „ქართულად ნათარგმნი მსოფლიო საგანძურის“ სერიით რჩეული მხატვრული წიგნების თარგმანებს.



## აქსოლოტლი

მისამართი: ქავთარაძის ქ. N 27 ა;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 558 67 47 34;  
+995 593 43 43 06  
ელ. ფოსტა: [shota@alterway.ge](mailto:shota@alterway.ge);  
[qeto.veshaguri@gmail.com](mailto:qeto.veshaguri@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ქეთო ვეშაგური

პროექტი „აქსოლოტლი“ უკვე ორი წელია არსებობს და სოციალურ ქსელში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებაა. შესაბამისად, აქსოლოტლის გუნდი მუდმივად სთავაზობს თავის მომხმარებელს საინტერესო ილუსტრაციებს სხვადასხვა წიგნებიდან.

პროექტის სახელი „აქსოლოტლი“ უკავშირდება ხულიო კორტასარის მოთხრობას. აღნიშნულ მოთხრობაში აქსოლოტლი გონიერი არსებაა, რომელსაც მისტილი აქვს ცხოვრება უგუნურთა შორის. რეალურ ცხოვრებაში კი აქსოლოტლი ამფიბიაა, რომელიც სალამანდრას ამბისტომის ლაგრას მიეკუთვნება და დღეისათვის გადაშენების პირასაა. იმყოფება.



## აჰმადია მასლიმ ესოუსიეიშენ ჯორჯია

მისამართი: ჭავჭავაძის გამზარი N 75/3-ა;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 551 66 98 89;  
+995 598 50 28 56  
ელ.ფოსტა: [info@ahmadiyya.ge](mailto:info@ahmadiyya.ge)  
საკონტაქტო პირი: Jawad A. Butt

„აჰმადია მასლიმ ესოუსიეიშენ ჯორჯია“ წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებულ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას 2017 წლის ბოლოდან ახორციელებს. იგი წარმოადგენს იმავე სახელწოდების საერთაშორისო ორგანიზაციის ნაწილს (ბრიტანეთი, გერმანია). ორგანიზაციის დევიზია: „სიყვარული ყველასთვის, სიძულვილი არავისთვის.“





## გიორგი ლაონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

მისამართი: ქანტურიას ქ. N 8;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 93 28 90;  
+995 599 26 52 33  
ელ. ფოსტა: [teatvalavadze@gmail.com](mailto:teatvalavadze@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: თეა თვალავაძე

ლიტერატურის მუზეუმი 1940 წლიდან არსებობს. დღეისათვის ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობას მომზადებული და დაბეჭდილი აქვს ასზე მეტი წიგნი, მათ შორის: ტომეულები (გალაკტიონ ტაბიძის ოცდახუთტომეული, გრიგოლ რობაქიძის ხუთტომეული, 1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების ოთხტომეული, აკაკი წერეთლის ორტომეული), მუზეუმის კრებულის „ლიტერატურის მატთან“ 12 წიგნი, საარქივო გამოცემები, საიუბილეო კრებულები, დღიურები, მემუარები. წიგნებს ერთვის კომენტარები, საძიებლები, მუზეუმსა და სხვა კოლექციებში დაცული ფოტოების, ნახატების, ხელნაწერებისა და მემორიალური ნივთების რეპროდუქციები.

## გოეთეს ინსტიტუტი

მისამართი: ზანდუკელის ქ. N16;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 93 89 45  
ელ. ფოსტა: [Info@tbilissi.goethe.de](mailto:Info@tbilissi.goethe.de)  
საკონტაქტო პირი: ზურაბ ბოლქვაძე

გოეთეს ინსტიტუტი მთელ მსოფლიოში მოქმედი გერმანული კულტურის ცენტრია, რომელიც ხელს უწყობს უცხოეთში გერმანული ენის შესწავლას და საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას ეწევა.

გოეთეს ინსტიტუტის კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამები კულტურათა შორის დიალოგს უწყობს ხელს.



## იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი

■  
მისამართი: შარტაგას ქ. N 41;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 98 00 97  
ელ. ფოსტა: [tiffis@yee.org.tr](mailto:tiffis@yee.org.tr)  
საკონტაქტო პირი: თეკლა ჩახაია

„იუნუს ემრეს სახელობის ფონდი“ მიზნად ისახავს თურქეთისა და თურქული ენის, ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების მთელი მსოფლიოსათვის გაცნობას და გავრცელებას; აღნიშნულთან დაკავშირებით წლობით დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების მთელი მსოფლიოსათვის წარდგენას და გაზიარებას; თურქული ენის, კულტურისა და ხელოვნების შესწავლის მსურველთათვის ქვეყნის საზღვარებს გარეთ შესაბამისი მომსახურების გაწევას, კულტურის სფეროში თურქეთის სხვა ქვეყნებთან დაახლოვებას და მეგობრობის განმტკიცებას. ფონდი დაარსებულია 2007 წლის 5 მაისს.



## კაფე პიატო

■  
მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი N 7;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 577 01 29 48  
საკონტაქტო პირი: ანი ამირანაშვილი

იტალიური კერძები, უშვიათესი სახეობის ქართული ღვინო, არომატული ყავის ფართო არჩევანი და უამრავი საინტერესო წიგნი - ეს კაფე „პიატო“. მყუდრო წიგნის კაფე „პიატო“ საუკეთესო ადგილია როგორც საქმიანი შეხვედრებისთვის, ასევე დამლღელი დღის შემდეგ მშვიდი განტვირთვისათვის.



## კინგსი საქართველო

მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. N 7;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 30 61 31  
ელ. ფოსტა: [info@kings.ge](mailto:info@kings.ge)  
საკონტაქტო პირი: სესილი გელოვანი  
ვებგვერდი: [www.kings.ge](http://www.kings.ge)

კინგსი განათლების სფეროში 2012 წლიდან საქმიანობს და არის საერთაშორისო ასპარეზზე გასული ქართული საგანმანათლებლო ორგანიზაცია. კინგსის მისიაა, გაზარდოს ზოგადი განათლების დონე სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებითა და მუდმივგანახლებადი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვით მის მიერ ორგანიზებულ სასწავლო აქტივობებში.

## კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მისამართი: ალექსიძის ქ. N 1/3;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 17 12 26;  
+995 555 24 45 55  
ელ. ფოსტა: [Irma.beridze@manuscript.ac.ge](mailto:Irma.beridze@manuscript.ac.ge);  
[Lanagrdzelishvili@gmail.com](mailto:Lanagrdzelishvili@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ირმა ბერიძე;  
ლანა გრძელიშვილი  
ვებგვერდი: [www.manuscript.ge](http://www.manuscript.ge)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საცავია, სადაც დაცულია უძველესი ხელნაწერი წიგნები (როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი), ისტორიული საბუთები და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. ამას გარდა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოადგენს ქართველოლოგიური მეცნიერების ყველაზე მძლავრ სკოლას. ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად და მასზე დაყრდნობით, ცენტრის საგამომცემლო სამსახური დაინტერესებულ საზოგადოებას, პერიოდულად, სხვადასხვა სახის ბეჭდურ პროდუქციას სთავაზობს.



## „კოსმო“ ხელნაკეთი ნივთები და ექსპანსიები

მისამართი: ხიზაბაურის ქ. N 1;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 577 32 74 42  
ელ. ფოსტა: [cosmo.handmade@gmail.com](mailto:cosmo.handmade@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: სოფო მუხუღიშვილი

„კოსმო“ – ხელნაკეთი ნივთები და  
ექსპანსიები. „კოსმო“ დაარსდა 2015 წელს.  
კომპანიის მიზანია შექმნას ეკოლოგიურად  
სუფთა, ქართული პროდუქტი. ამჟამად  
აწარმოებს ხის ბეჭდებს, საყურეებს,  
ჩანთებს, ბაფთებს, უბის წიგნაკებს ხის და  
ტყავის ყდით, საფულეები, ჩანთები და ა. შ.



## „პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალი საქართველოში“

მისამართი: აეროდრომის დას. ქ. 12, N 18;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 597 71 00 00;  
+995 597 72 00 00;  
+995 597 73 00 00  
ელ. ფოსტა: [InboxPID.GE@jw.org](mailto:InboxPID.GE@jw.org)  
საკონტაქტო პირი: თამაზ ხუციშვილი  
ვებგვერდი: [www.jw.org](http://www.jw.org)

არაკომერციული გაერთიანება  
„პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა  
და ტრაქტატების საზოგადოება“ 1884 წელს  
დარეგისტრირდა და დღესდღეობით 240  
ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე ეწევა თავის  
საქმიანობას. ორგანიზაციამ გამოსცა  
დაახლოებით 220 მილიონი ბიბლია და 40  
მილიარდი ბიბლიური პუბლიკაცია 800-ზე  
მეტ ენაზე. პუბლიკაციებში განიხილება  
საკითხები, რომლებიც დააინტერესებს  
წყვილებს, მშობლებს, მოზარდებს, ბავშვებს,  
ყველას, ვისაც სურს მეტი გაიგოს ბიბლიური  
პრინციპების შესახებ. ბეჭდვითი და აუდიო-  
ვიდეო მასალა აგრეთვე ხელმისაწვდომია  
ვებგვერდზე.



საგჟოთა ნარსულის კვლევის ლაბორატორია

## პეპელა

მისამართი: ფალიაშვილის ქ. N 83;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 22 65 51  
ელ. ფოსტა: [contact@pepela.ge](mailto:contact@pepela.ge)  
საკონტაქტო პირი: სოფიო ფხაკაძე  
ვებგვერდი: [www.pepela.ge](http://www.pepela.ge)

სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „პეპელა“ მომხმარებელს სთავაზობს ევროპული და საერთაშორისო ბრენდების სათამაშოების ფართო ასორტიმენტს ბიჭებისა და გოგონებისთვის 1 თვიდან.

## საგჟოთა ნარსულის კვლევის ლაბორატორია - SOVLAB

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი N 56;  
თბილისი საქართველო  
ტელ: +995 555 50 75 50;  
+995 593 78 59 01  
ელ. ფოსტა: [info@sovlab.ge](mailto:info@sovlab.ge)  
საკონტაქტო პირი: მაგდა ცოცხალაშვილი  
ვებგვერდი: [www.sovlab.ge](http://www.sovlab.ge)

SOVLAB-ის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა ტოტალიტარული მემკვიდრეობის პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური პასუხისმგებლობის გააზრებას. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ახორციელებს კვლევებს, აწყობს გამოფენებს, ამზადებს დოკუმენტურ ფილმებს და გამოსცემს წიგნებს საბჭოთა ისტორიის, წითელი ტერორისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდებთან დაკავშირებით. 2017 წლიდან „სოვლაბის“ საგამომცემლო სერიებს შეემატა ახალი მიმართულება - „აკრძალული მეხსიერება“, რომლის მიზანია, ისტორიის თეთრი ლაქები ამ პერიოდების თანამედროვე მონათხრობით, მონათხრობითა და განცდილით შეავსოს.



## საერთაშორისო სახლი

■  
მისამართი: 26 მაისის მოედანი N 2;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 94 05 15;  
+995 322 10 51 45  
ელ. ფოსტა: [info@ihtbilisi.ge](mailto:info@ihtbilisi.ge); [ekabekauri@gmail.com](mailto:ekabekauri@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ეკატერინე ქურდაშვილი

„საერთაშორისო სახლი“ 1995 წლიდან პირველი ინგლისური წიგნის მაღაზიაა საქართველოში. მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ თქვენთვის საჭირო სასწავლო, მეთოდური თუ მხატვრული ლიტერატურა. „საერთაშორისო სახლს“ ამარაგებს ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობები, როგორცაა: „პიარსონი“, „პინგვინი“, „ჰარპერ კოლინზი“, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების გამომცემლობები.



## საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია

■  
მისამართი: რუსთაველის გამზირი N 40;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 93 29 12;  
+995 577 75 11 77  
ელ. ფოსტა: [gvasaliamanana@yahoo.com](mailto:gvasaliamanana@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია

მწიგნობართა ასოციაცია დაარსდა 1974 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ქართული და უცხოური გამოცემების პოპულარიზაცია. ასოციაცია დაარსებიდან დღემდე გამოსცემს მინიატიურულ წიგნებს, ძირითადად, კლასიკოსთა ნაწარმოებებს.



## საქართველოს უნივერსიტეტი

მისამართი: კოსტავას ქ. N 77ა;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 55 22 22  
ელ. ფოსტა: [info@ug.edu.ge](mailto:info@ug.edu.ge); [ug@ug.edu.ge](mailto:ug@ug.edu.ge)  
საკონტაქტო პირი: ჯულიეტა ანდლულაძე

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესით და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, სადაც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კრეატიული და ენთუზიანზმით აღსავსე პროფესიონალებისგან შემდგარ გუნდს, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს: კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია.

## სუფთა წყალი - Back wood-art

მისამართი: კოსტავას ქ. N 65;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 597 11 15 02  
ელ. ფოსტა: [S.beqa@yahoo.com](mailto:S.beqa@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: ბეჟარ შარაშენიძე

ჩვენი ორგანიზაცია აწარმოებს ხის ხელნაკეთ ნივთებს.

ფესტივალზე წარმოდგენილი გვაქვს წიგნის, ხის ხელნაკეთი აქსესუარი/მეგობარი, რომელსაც, ვფიქრობთ, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.



## ქართული წიგნის ეროვნული სააგენტო

მისამართი: სანაპიროს ქ. N 4;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 93 11 74  
ელ. ფოსტა: [info@book.gov.ge](mailto:info@book.gov.ge)  
საკონტაქტო პირი: სოფიკო პირველი

სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი ემსახურება ქართული წიგნისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, კერძოდ, ქართული ლიტერატურის და უცხოური ლიტერატურის თარგმნის პროცესის განვითარებას, ლიტერატურის მეშვეობით კულტურათშორისო დიალოგის გაღრმავებას და საერთაშორისო ლიტერატურულ და საგამომცემლო სივრცეში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური რესურსის წარმოჩენას.

## ჰაინრიჰ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

მისამართი: ზოვრეთის ქ. N 38;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 38 04 67/68  
ელ. ფოსტა: [info@ge.boell.org](mailto:info@ge.boell.org)  
საკონტაქტო პირი: თამარ შვანგირაძე

ჰაინრიჰ ბოლის ფონდი მწვანე პოლიტიკური ფონდია და ის გერმანიის ბუნდესტაგში წარმოდგენილი პარტიის „კავშირი 90/მწვანეები“ პოლიტიკურ ღირებულებებს იზიარებს. მსოფლიოს მასშტაბით ფონდი ეწევა და მხარს უჭერს აქტივობებს პოლიტიკური და სამოქალაქო განათლების სფეროში. სამხრეთ კავკასიაში ფონდი 15 წელია აქტიურად მუშაობს დემოკრატიის, მდგრადი განვითარებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.





## CHINA NATIONAL PUBLICATION IMPORT & EXPORT (GROUP) CORPORATION

Address: 16 Gongti East Road, Chaoyang District,  
Beijing, China  
Tel: 86-10-64263508  
E-mail: liuzhaoran@bibf.net  
Website: www.bibf.net  
Contact Person: Liu Zhaoran

China National Publications Import & Export (Group) Corporation (CNPIEC) is a large state-owned culture enterprise founded in 1949, has always adhered to serving social economic construction and promoting Chinese culture "going global" through introducing international advanced technological and cultural achievement as our goal. It has formed its industrial structure pattern in fields of import of publications, export of publications, domestic and overseas exhibitions, overseas publishing, overseas outlets and other international operations, CNPIEC has become the largest and most competitive import and export enterprise of the Chinese publishing industry with total assets of 2.9 billion Yuan, operating revenue of 3 billion Yuan, and 42 branches at home and abroad.

# Entrepreneur

## ENTREPRENEUR GEORGIA

მისამართი: ირ.აბაშიძის ქ. N 34  
ტელ: +995599 13 45 10;  
+995 599 88 54 03  
ელ. ფოსტა: info@entrepreneur.ge  
საკონტაქტო პირი: ალექს სირაძე; ილონა  
პატარავა

ავტორიტეტული ამერიკული ბრენდი Entrepreneur წარმატებული ბიზნეს ისტორიების, პოზიტიური ინსპირაციისა და კვალიფიციური ბიზნეს ინფორმაციის ყოველდღიური სანდო წყაროა ანტრეპრენერებისა და ბიზნესის მფლობელებისთვის მთელ მსოფლიოში. პრობლემების დაძლევის რეალური გზები, რჩევები, ბიზნესის მართვის ეფექტური ინსტრუმენტები და უახლესი ინფორმაცია მილიონობით მკითხველს ეხმარება პიროვნულ ზრდაში, საკუთარი ბიზნესის შექმნასა თუ განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.



## FRANKFURTER BUCHMESSE

Address: Braubachstrasse 16;  
Frankfurt, Germany  
Tel: +49 69 2102 0  
E-mail: [servicecenter@book-fair.com](mailto:servicecenter@book-fair.com)  
Website: [www.book-fair.com](http://www.book-fair.com)

Every year, about 7,300 exhibitors from more than 100 countries, around 275,000 visitors, more than 4,000 events, about 10,000 journalists and about 2,4000 bloggers all combine to make the Frankfurt Buchmesse the biggest trade fair for the international publishing industry. For more than 20 years, in its B2B activities, Frankfurt has been open to the digital transition and the new players this brings with it: film and games professionals, business developers, IT specialists, investors, start-ups, bloggers and many more besides, now feel well and truly at home in Frankfurt.



## GHIMI • ღიმი

მისამართი: წერეთლის გამზირი მე-10 კორპ. N15;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 555 26 99 20;  
+995 555 48 16 47  
ელ.ფოსტა: [flyforwardnow@gmail.com](mailto:flyforwardnow@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ნინო შარაძე; ირმა ალექსიძე

„Fly Forward“ არის სტარტაპერი კომპანია, რომელიც რამდენიმე სავაჭრო ნიშანს აერთიანებს. მათ შორის ერთ-ერთია „ღიმი“. „ღიმის“ ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა ტიპის აქსესუარების, დეკორის, საკანცელარიო ნივთებისა და სტიკერების რეალიზაციაა, რომელთა უმეტესი ნაწილი წიგნების, ფილმებისა და სერიالების თემატიკაზეა. „ღიმისგ“ ნივთები განკუთვნილია ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მომხმარებლისათვის, რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასად.



## READERSLAND

მისამართი: იოსებოძის ქ. N49;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 577 62 17 63;  
+995 322 42 04 21  
ელ.ფოსტა: n.tsomaia@hotsale.ge  
საკონტაქტო პირი: ნათია ცომაია

readersland.ge პირველი ქართული  
ფასდაკლების საიტია ყველა ასაკისა  
და ჟანრის მკითხველისთვის. წიგნების  
ფართო არჩევანი მომხმარებელს  
საშუალებას აძლევს შეიძინოს სასურველი  
წიგნი ყველაზე დიდი ფასდაკლებით.  
ჩვენი მისიაა, კითხვის მოყვარულებს  
შევუქმნათ წვდომა ყველა სასურველ წიგნზე  
მაქსიმალური ფასდაკლების ხარჯზე.  
ჩვენს ბიზნესპარტნიორებს კი ვთავაზობთ  
მრავალფეროვან, ეფექტიან სარეკლამო  
და სხვა მარკეტინგულ მხარდაჭერას,  
რითაც წვლილი შეგვაქვს მათი ბიზნესის  
განვითარებაში.





იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი

## YUNUS EMRE ENSTİTÜSÜ

Yunus Emre Enstitüsü; Türkiye'yi, kültürel mirasını, Türk diline, kültürünü ve sanatını ; tanıtmak, Türkiye'nin diğer ülkeler ile dostluğunu geliştirmek, kültürel alışverişini arttırmak, bununla ilgili yurt içi ve yurt dışındaki bilgi ve belgeleri dünyanın istifadesine sunmak, Türk dili, kültürü ve sanat alanlarında eğitim almak isteyenlere yurt dışında hizmet vermek amacıyla 2007 yılında kurulmuş bir kamu vakfıdır. Merkezimiz Tiflis'te ise 2012 yılından bu yana faaliyet göstermektedir.



• Merkezimizde verdiğimiz Türkçe kursları, A1; A2; B1; B2; C1; C2 şeklinde olmak üzere altı farklı düzeyden oluşmaktadır. Her düzeyde ise iki kur bulunmakta ve haftada altı saatlik periyodlarla devam eden kurslar 72 saatte tamamlanmaktadır.

• ჩვენს ცენტრში თურქული ენის კურსები იყოფა ექვს საფეხურად: A1; A2; B1; B2; C1; C2. თითო საფეხური შედგება ორი კურსისაგან, რომლებიც მოიცავს კვირაში 6-საათიან, საერთო ჯამში კი 72-საათიან მეცადინეობას.

## იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი

იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი არის საჯარო ფონდი, რომელიც დაარსდა 2007 წელს. მისი მთავარი მიზანია, გაუწიოს პოპულარიზაცია თურქეთს, მის კულტურულ მემკვიდრეობას, თურქულ ენას, კულტურასა და ხელოვნებას; გააღრმავოს ურთიერთობა თურქეთსა და სხვა ქვეყნებს შორის, ხელი შეუწყოს კულტურათა შორის ურთიერთობას, გაავრცელოს შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, იდგეს მათ სამსახურში, ვისაც სურს თურქული ენის, კულტურისა და ხელოვნების სფეროებში განათლების მიღება. ჩვენი ცენტრი თბილისში 2012 წლიდან ფუნქციონირებს.



Shartava 41 Saburtalo Tbilisi

+ 995 322 980 097



yeetiflis




yeec.org.tr



tiflis@yeec.org.tr

# რეკონსტრუქცია

- **ქალაქსა და ადამიანებსა**  
კიუ ჩარლზ ანდერსონი
- **დაშლა**  
მანო სიდამონიძე
- **ორიოდ სიბყვა ფლანერი ო' კონორის**  
**გოთხრობების კრებულზე**  
მედა იმერლიშვილი
- **ყველა ღმერთი მთაცხელია**  
თემუკა ზოიძე
- **ჩემი პირადი გმირი**  
მეგი თედორაძე



### კლიფორდ სიმაკი ქალღმერთი

მთარგმნელი:  
ირაკლი ლომოური

„გამომცემლობა პალიტრა L“

„იქნებ სჯობდა, ჩვენც გადავშენებულებოდათ დიდი გამყინვარებისას დინოზავრებთან ერთად და სიცივეს ჩვენს გულში და გონებაში არ შევქეცია. იქნებ სჯობდა ჩვენი ნაფხურები აღმოჩინათ უცხო პლანეტელებს და ჩვენი ნარჩენები მუზეუმებში გამოეფინათ წარწერით: „სიცოცხლისთვის სახიფათო.““

დათო ყანაშვილი

ოდესმე თუ გიფიქრიათ, რას იტყოდნენ უცხო ცივილაზაციები, ადამიანთა მოდემის განვითარებას თუ გადაავლებდნენ თვალს? ან რა მოხდება მაშინ, თუ ერთ დღესაც ადამიანთა რასა შეწყვეტს თავის სისასტიკითა და ძალადობით სავსე არსებობას და განვითარების გზას თუნდაც სხვა ცოცხალ არსებათა სახეობას დაუთმობს? ნეტავ, ისინი როგორ განვითარდებოდნენ - ადამიანების მსგავსად ულმობლად მოექცეოდნენ ერთადერთ დედაპლანეტაზე არსებულ ფლორასა და ფაუნას მხოლოდ პირადი სარგებლისთვის, დახოცავდნენ სპილოებს მათი ეშვების, ირმებს მათი რქებისა და ვეფხვებს მათი ტყავის გამო? ერთმანეთსაც ჩვენსავით საუკუნეების განმავლობაში შეიძლებდნენ კანის ფერის, სქესისა თუ წარმომავლობის გამო? ვინ იცის, სიმართლე რომ ითქვას, ამაზე არც არასდროს მიფიქრია, სანამ ხელში კლიფორდ სიმაკის „ქალღმერთი“ არ ჩამივარდა.

წარმოიდგინეთ, როგორც ჩვენ ვსწავლობთ ანტიკურ თქმულებებს, ხალხურ ლეგენდებს, ბერძულ თუ სკანდინავიურ მითოლოგიას და მათში აღწერილი ამბებისა და გმირების ირეალურობაში წამითაც არ გვეპარება ეჭვი, მხოლოდ მათი სიმბოლური დატივრთვა, წარმომავლობა თუ ლიტერატურული ღირებულება გვაინტერესებს, ამის მსგავსად ერთ დღესაც, ძალიან შორეულ მომავალში სწორედ


კაცობრიობის ისტორია გახდეს ისეთი ზეპირსიტყვიერების ნიმუში, რომლის ავთენტურობასაც აღარავინ დაიჯერებს პატარების გარდა, რომელთაც გასართობად ეყვარებათ მათი მოსმენა. სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანში „ქალაქი“ სწორედ მსგავს მოცემულობას ვაწყდებით, სადაც ძალღებებს(პო, არ მოგესმათ) ადამიანთა შესახებ ზღაპრები შემორჩათ და ისიც კი ვერ გაურკვევიათ, მათში აღწერილი ამბები საერთოდ რას ემსახურება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემთვის, ადამიანი მკითხველისთვის(ძაღლებისგან განსხვავებით) ის „ზღაპრები« ისეთი ნამდვილი, ემოციური და შემამოფოთებელიც კი გამოდგა, რომ წიგნი შეუსვენებლად - ერთი ამოსუნთქვით შემომეკითხა. ამაში ავტორის უდავოდ გამორჩეული ხელწერა დამეხმარა, რომელიც არ გაძლევს საშუალებას მოიწყინო, სხვა რამეზე გადაერთო ან ამბავი რომელიმე დეტალზე მიატოვო, პირიქით - წაკითხვის მერეც კიდევ დიდხანს გიტოვებს საფიქრალს. სავარაუდოდ, ძაღლების ხსენებისას ის მულტფილმები თუ კინოფილმები გაგახსენდათ, სადაც ჩვენი შინაური ცხოველები ჩვენგან გასაიდუმლოებულად საუბრობენ და ცალკე დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან, რამაც, შეიძლება, არასერიოზულად განგაწყობთ დასაწყისისთვის(როგორც ეს მე დამემართა), მაგრამ ყველაფერი ასე პრიმიტიულად სულაც არ არის: ცხრა მოთხრობისგან, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი ამბებისგან შედგება ეს წიგნი, რომელთა ქრონოლოგიური განვითარება დასაწყისში გაჩენილ ყველა სერიოზულ თუ არასერიოზულ კითხვას ლოგიკურ პასუხს სცემს. ამ ისტორიებს კი ის წინათქმები აკავშირებს და კრავს ერთიან რომანად, რომელთაც სწორედ ძაღლები წერენ მკითხველთათვის - ერთი შეხედვით ეს საოცარი იუმორით სავ-

სე კომენტარები ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი მარგალიტებია. როგორც სამეცნიერო ფანტასტიკისთვისაა დამახასიათებელი, ყოველი მოთხრობის სიუჟეტი მომავალში ვითარდება: იწყება ერთი მომენტიდან და გრძელდება კიდევ უფრო შორეულ პერიოდად. ჟანრის მიუხედავად, არავინ იფიქროს, რომ მასში აღწერილი ისტორია სამეცნიერო ტერმინოლოგიითა დახუნძლული ან მხოლოდ ამ ჟანრის მოყვარულთათვისაა გასაგები, პირიქით, ეს ის იშვიათი გამონაკლისი მგონია, რომელიც განურჩევლად ყველა ტიპის მკითხველს უნდა მოეწონოს, რადგან ის არაფერზეა, გარდა წმინდად ადამიანური გრძობებისა.

წიგნი იწყება „ქალაქით»: თანამედროვე ურბანიზაციისა და მეგაპოლისების საზღვრების ყოველდღიური გაფართოების ფონზე, როცა კულტურებს, ადამიანებს, რელიგიებსა და იდიოლოგიებს ერთი სივრცე შავი ხვრელივით ისრუტავს, წარმოსადგენადაც კი გაგვიჭირდება რა შეიძლება მოხდეს, თუ ერთ დღესაც ადამიანები ქალაქებს მასობრივად დატოვებენ. ერთი შეხედვით ეს საცოცებების, დანაგვიანებისა და დაბინძურებული ჰაერისგან გათავისუფლებად შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ავტორი ახერხებს დაცარიელებული ქუჩების, ხავსმოდებული სახლებისა და წყობიდან გამოსული ტექნიკის ფონზე ადამიანთა უზომოდ სევდიანი მოგონებები გააცოცხლოს, რომელთა წარსული ცხოვრებაც იმ სიცარიელეში დაძრწის. ეს კი მხოლოდ დასაწყისია იმ ტრაგიკული ციკლისა, რომელსაც, თამამად ვიტყვოდი, კლიფორდ სიმაკის წინასწარმეტყველური ტექსტი მოვითხრობს კაცობრიობის მომავალზე. და მაინც, რა შუაში არიან ამ ყველაფერთან ძაღლები? აქედანვე გეტყვით: ეს წიგნი მწერალმა სწორედ თავის

ძაღლს, სკოტის მიუძღვნა. ამაში სწორედ ავტორის ყველაზე ფაქიზი დამოკიდებულება ვლინდება ადამიანის საუკეთესო მეგობრად აღიარებული ცხოველების მიმართ, რომლებიც ამ წიგნში ფურცლიდან ფურცელზე დაჰყვებიან ადამიანებს და განვითარების ალტერნატიულ გზასაც გვიჩვენებენ. საერთოდაც კითხვის პროცესის რაღაც მომენტში ხვდები, რომ წიგნში ადამიანები კი არა, სწორედ ძაღლები არიან მთავარი გმირები და მკითხველისთვის ყველაზე დიდი ტრაგედიაც ამის გააზრება ხდება - როგორც ზევსი, ამონ-რა თუ ოდინი გახდნენ ჩვენი წარსული ღვთაებები, ისე იქცევა ადამიანი ძაღლებისთვის მკვდარ ღმერთად.

ბოლოსკენ მივსვამთ იმით, რითიც იწყება ეს წიგნი: ძაღლები ამაოდ სვამენ კითხვას - რა არის ადამიანი? ანდა რა არის ომი? ადამიანის რაობაზე საუკუნეებია ფილოსოფიური თუ რელიგიური თეორეტიკოსები იმტვრევენ თავს და დღემდე მაინც თავადაც ვერ გავრკვეულვართ ბოლომდე, ამიტომაც ამას ძაღლებიც თუ ვერ გაიგებენ, ალბათ, არაუშავს, თუმცა რაღას ვიტყვით ომზე? როცა ამ სიტყვებს ვწერ ან როცა თქვენ ამას წაიკითხავთ, ალბათ, სადღაც კიდევ რომელიღაც გასროლილ ტყვიასა თუ ჩამოვარდნილ ბომბს ისევ შეეწირება უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. სწორედ ამიტომაც ამ წიგნის კითხვის პარალელურად პირველი, რაც კი გამახსენდა ჩემი ბავშვობის უსაყვარლესი ფილმი „მეხუთე ელემენტი« იყო, რომელშიც ერთ-ერთი პერსონაჟი ლილუ სიტყვა „ომზე« არსებულ ინფორმაციას ეცნობა და ადამიანთა მიერ ჩადენილი ძალადობის გამო შეუჩერებელიც ტირის. ასე ვიყავი მეც - ვკითხულობდი წიგნს და მრცხვენოდა იმის, რაც ვიყავი, ვარ ან ვიქნები მერე.



დათო ბაბუნია

დაულა

გამომცემლობა

„წიგნები ბათუმში“

THE WORLD HAS BIGGER PROBLEMS THAN BOYS WHO KISS BOYS AND GIRLS WHO KISS GIRLS... მართლაც, რომ საზოგადოება გადაჭარბებული დოზით ერევა სხვის ცხოვრებაში და განიკითხავს მას. ყველაზე მთავარი, რაც ღმერთმა ადამიანს უბოძა - ტვინია. ორგანო, რომელიც ფიქრის მცდელობას გვაძლევს. ადამიანთა გარკვეული ნაწილი კი არ უშვებს იმ აზრს, თუ რა ზიანი შეიძლება მოჰყვეს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, უეცრად წარმოთქმულ სიტყვას. ეს ყველაფერი სხვის გულს, უბრალოდ ნაკუწებად აქცევს.

წინ მივდივართ, ვეგუებით სიახლეებს, პატივს ვცემთ სხვების აზრს, არ ვებღაუჭებით წარსულს - ეს „სლოგანები“ მარაზმია და მეტი არაფერი!

რა მომავალზე და სიახლესთან შეგუებაზეა საუბარი, როდესაც ერთმანეთის პატივისცემა დაგვაფიქვდა, გვეზიზღება ყველა და ამას საჯაროდაც ვაღიარებთ. არ გვრცხვენია საკუთარი სიტყვებისა და ეს „თავისუფლება“ გვსიამოვნებს. არა, ტყუილია! არაფერიც არ გვსიამოვნებს.

სამყაროში იმდენი პრობლემაა, რა ჩამოთვლის. ჩვენი მიზანი კი მათი ნელ-ნელა შემცირებაა, მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება. სიყვარულს ვუარყოფთ, გრძნობას, რომელსაც შეუძლია ადამიანები ერთმანეთთან დააკავშიროს და მათგან შექმნას ლალი, მომლიმარი სულები, რომლებიც ყველა დანარჩენს გულს უთბობენ. დღესდღეისობით სწორედ ასეთ ადამიანებს განიკითხავენ.



ისინი დაემსგავსნენ დეტექტივებს, რომლებიც სულმოუთქმენლად ელიან ახალი საქმის გახსნას...

დავით გაბუნიას სადებიუტო რომანი ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი მაგალითია. ავტორის წერის სტილი გამორჩეული და ამ ეპოქისთვის სრულიად შესაფერისია.

წიგნში მოთხრობილია ზურასა და თინას შესახებ. მათი ოჯახი არაფრით განსხვავდება სხვებისგან, არც მათი სიყვარულია გასაოცარი და მით უმეტეს, არც ცხოვრება.

XXI საუკუნის რეალობა: კაცი სახლშია გამოკეტილი, ხოლო ქალი, მთელი დღის განმავლობაში, შეუსვენებლად შრომობს.

2012 წლის ცხელ ზაფხულს მოვლენები რადიკალურად იცვლება: მათი, ვითომდა დალაგებული ცხოვრება ნელ-ნელა ირევა...

ზურა - მშვიდი, გაწონასწორებული და აზრიანი კაცია. მისგან არანაირი ცუდი არ არის მოსალოდნელი, პირიქით, საოცარი და დადებითი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელის განძრევა და მუშაობა შეუძლია, მაგრამ „თავის შესაფერის“ სამსახურს ელოდება, როგორც დღევანდელი კაცების უმეტესობა, ამიტომაც სახლში, ბავშვებს უფლის. თინა კი მას ღალატობს. ამ ერთი დამშლელი ფაქტის მიუხედავად, რომანის მთავარი აზრი სხვა საკითხში მდგომარეობს...

როგორც ზემოთ ვახსენე, 18 აგვისტოს ყველაფერი 3300-ით ტრიალდება. მათ წინა კორპუსში, რომელიც მხოლოდ ორი ნაბიჯის მოშორებითაა აშენებული, გადმოდის ახალგაზრდა, 21 წლის ბიჭი, რომელსაც წითელი, ალფა-რომეო ჰყავს. შოთიკო სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, კერძოდ კი- გეი. ავტორს

კარგად ჰყავს დახასიათებული როგორც ის, ისე მისი დამოკიდებულება ზურას მიმართ. მას სიცოცხლის ეშინოდა. ყოველდღე უშვებდა იმ ფაქტს, რომ ვიღაცის მსხვერპლი გახდებოდა. სიკვდილის შემდეგ კი, პოლიციას ერთი მოწმე, ზურას სახით, ეყოლებოდა და სწორედ ამით იმშვიდებდა თავს.

ავტორს შოთიკოს საყვარლად შემოჰყავს ახალი პერსონაჟი, ჰალსტუნიანი - მერაბი, რომელიც 31 წლის ბიესუსული მამაკაცია. ამ ორი ადამიანის შეხვედრები და ერთად გატარებული ღამეები ზურამ ცოლის კამერით დააფიქსირა. ყველაფერი, თავისდა უნებურად, ტვინში ჩაებეჭდა. ნოუთბუქშიც კი შეინახა სურათები. მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოსწონდა საკუთარი ქმედება, ინსტიქტმა საწინააღმდეგოსკენ უბიძგა. ეს ყველაფერი კი ერთ დღეს განადგურდა. 21 სექტემბერს შოთიკო მერაბის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს, შეწყვიტა სუნთქვა, გაცივდა, სისხლმა კი მთელი ოთახის იატაკი დაფარა. ზურამ ეს ამბავი თავისდა „სასიკეთოდ“ გამოიყენა და მიიღო, როგორც ცხოვრების შანსი. მერაბის გონებაში კი სინამდვილეში რა მოხდა, არავინ იცის. მას არ შეეშინდა ზურას მუქარის. მიხვდა, რომ შანტაჟში უნდა ეცხოვრა, ამიტომაც თავი მოიკლა.

დავით გაბუნია თითოეულ პერსონაჟს სულით აშიშვლებს და არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ რომელიმე მათგანზე ცუდი ვთქვათ. ეს მათი პირადი არჩევანია!

დღესდღეისობით აღარაფერია გასაკვირი და გასაკიცხი, პირიქით, თითოეული ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისაღები უნდა იყოს.

ადამიანების უმრავლესობამ არ იცის, რომ სიტყვა - გეი თავდაპირველად

უდარდელს, მხიარულსა და კამკამას აღნიშნავდა. ქართულ ენაში კი ამას დამაკინებელ წოდებად მიიჩნევენ. ადამიანების გარკვეული ნაწილისთვის, ასეთი სახის სიახლეები, ერის გადაშენების მომასწავლებელია, ხოლო დანარჩენებისთვის კი ჩვეულებრივი, ახალი ამბავია, რომელსაც დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

ბიესუსულის, ლესბოსელის ან გეის სექსუალური იდენტობის განვითარება კომპლექსური და ხშირად რთული პროცესია. ისინი იმ ადამიანების საზოგადოებაში არ იზრდებიან, რომლებიც მათ ორიენტაციას იწონებს. პირიქით, ადამიანები მათ გარშემო ხშირად საკითხისადმი უტოლინობით ან მტრული დამოკიდებულებით გამოირჩევიან.


დავით გაბუნია ძალიან დიდი და საშიში ნაბიჯი გადადგა. მან სწორად და ნათლად დაგვანახა ის ცხელ-ცხელი პრობლემები, რომლებიც ამ საუკუნის მთავარი ამოძახილია.

მე ყოველთვის მემახსოვრება ზურა, რომელიც ჰირკოკის ერთ-ერთი ფილმის „ეზოში გამავალი ფანჯრის“ მთავარ გმირს - ჯეფერის მახსენებს. ის ხომ ფანჯრიდან დანახული მკვლელობის მომსწრე გახდა.

ასევე მემახსოვრება თინა, რომელიც საკუთარ განცდებებსა და ფიქრებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ვერაფერი უშველა. ყველა და ყველაფერი მიატოვა და სახლიდან წავიდა.

რაც მთავარია, არასდროს მიეცემა დავიწყებას- შოთიკო, ბიჭი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა.

არავის აქვს უფლება, სხვისი ლალი ხასიათი შეცვალოს, სხვის სიცოცხლეს ზიანი მიაყენოს და ადამიანად არ ჩათვალოს, სექსუალური უმცირესობის ნებისმიერი წარმომადგენელი!



## ფლენერი ო'კონორი კარგი კაცი სანთლით საძებარია

მთარგმნელები:  
ზაზა წილაძე და გია ჟუბურიძე

გამომცემლობა  
„დიოგენე“

# ორიოდ სიტყვა ფლენერი ო' კონორის მოთხრობების კრებულზე

## მედა იმერლიშვილი

ფლენერი ო' კონორის მოთხრობებზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა.

ვინ იყო ფლენერი ო' კონორი - 39 წლის ასაკში იმავე ავადმყოფობით გარდაცვლილი ქალი, რომლითაც მამამისი მოკვდა, ის თექვსმეტისა რომ იყო და მერე დედასთან იზრდებოდა. ამერიკელი მწერალი ქალი ჯორჯიის შტატიდან. წარმოდგინეთ ამერიკის სამხრეთი 30-იან, 40-იან წლებში, ვიდრე 60-იანებამდე. დაწერა ორი რომანი და დანარჩენი - სულ მოთხრობები, რომლებშიც არიან სულ დედა და შვილი, სულ თუ არა, ბევრში მაინც. დედა და ქალიშვილი. ქალი - მორწმუნე, არმორწმუნე, რალაცნაირად მუდმივად მზადმყოფი მიმტევებლობისთვის, მაინც ღმერთისკენ მზირალი და შვილი კიდე, სულ სხვანაირი - არ ვიცი, დედის, არ ვიცი, მისი უგუნური იმედების გამპროტესტებელი. ისეთებიც არიან, სულ რომ არაფერზე ფიქრობენ, ყოველ საღამოს პარმალზე ჩამომჯდარნი მზის ჩასვლის ცქერის მეტს არაფერს აკეთებენ. დედა და შვილი მარტოები ცხოვრობენ, ქალაქიდან შორს, ან ტყის პირას, სადღაც შორს, მიყრუებულ სოფლებში. პერსონაჟები მისი მოთხრობებიდან ხშირად არიან ხან ცალხელები, ხან ცალფეხწაჭრილები უბედური შემთხვევის შედეგად, ხანაც - უმანკო, უსუსური, გონებადაბინდული, ყმაწვილქალობაში დარჩენილი ოცდაათი წლის გოგოები.

„ფლენერი ო' კონორის სამყარო სასტიკია» - ასე მაცნობს მისი მოთხრობების კრებულს - „კარგი კაცი სანთლით საძებარია» - გამომცემელი. სასტიკი? ალბათ არა. ვიტყოდი, უფრო - აცდენილი. „აცდენილი» მისი ერთ-ერთი მოთხრობის - „კარგი კაცი სანთლით საძებარია», პერსონაჟის მეტსახელია. ეს იცით როგორი კაცია? ციხიდან გამოქცეული, თითქოს, მამისმკვლელი, ზუსტად არც ვიცი. ეს სახელი მე

ვითონ დავირქვი, რადგან დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმეფარდებისა ვერაფერი გავიგე, ვერ გამომირკვევია, მაინც რა ჩავიდინე იმისთანა, ასეთი სასჯელი დამემსახურებინაო. ჰოდა ამ აცდენილობით იკვრება ფლენერი ო' კონორის ამ მოთხრობების სამყარო.

აქ არიან ქალები, რომლებსაც შვილები არ უნდათ, რადგან ჰგონიათ, რომ არც ისინი უნდოდან თავიანთ მშობლებს და ემინათ, თვითონაც ეგეთი მშობლები არ გამოდგნენ, ანდა პირიქით, ისეთები, რომლებსაც მზე და მთვარე მათზე ამოსდით, მაგრამ უცნაური რიდი აქვთ ამ თავიანთი, ოცდაათ წელს გადაცილებული გოგოებისა, მათთვის ბედნიერება უნდათ, მაგრამ თითქოს ბედნიერება საერთოდ გამქრალა. იცით როგორ? კი გინდა, მაგრამ ის ამ სამყაროში საერთოდ არ არსებობს და გინდოდეს, რამდენიც გინდა.

ხომ ვთქვი, მარტოები ცხოვრობენ სადღაც შორს, მიყრუებულ სოფელში-მეთქი. მაგრამ რამისშორებეც არ უნდა დაემალონ ყველას და ყველაფერს, ეს ყველა და ყველაფერი მაინც უთუოდ პოულობს ამ უჩინარ და თავიანთ გაუგებარ სიკეთეში მოფუსფუსე ქალებს თავიანთი გოგოებით და სოფლის ბოლოში, მტვრიან გზაზე აუცილებლად ჩამოივლის ვინმე გადამთიელი, უსახელო, თავისებურად აცდენილი. ეს ქალები ხო სუ პარმალზე სხედან, ან ხახვს გლეჯენ სახლის წინ ბოსტანში, ჰოდა, როგორც კი მოკრავენ თვალს ამ უცხო, აწოწილ კაცებს, ეგრევე იცი, რომ რაღაც მოხდება. კი, რაღაც ხდება, მაგრამ ისე ჩუმად, ყველაფერი ისე ჩუმად ხდება, მზის სხივებში, სოფლურ სიმშვიდეში, მტვრიან ფოთლებში აჭაბუტებული სამხრეთული მზის სხივებში, რომ ვითომც არაფერი.

ერთი მოთხრობა - „თაბაშირის ზანგი», ასეთი ცოტა წამიკითხავს, ან საერთოდაც, არცერთი. ბაბუა და შვილიშვილი არიან. მთვარის შუქით დაწყებული და მთვარის შუქით დამთავრებული ამბავია. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს ქალი შუქის მწერალია - ან მზის, ან მთვარის. ყველაფერი ან შუადღის ხვატში ხდება, თეთრის სიკაშკაშეში, ან მზის ჩამავალ სხივებში, ანაც, მთვარის ვერცხლისფერ ნათელში. ჰო, ბაბუა და შვილიშვილი არიან. ამ ბიჭს, ნელსონს, თორმეტიოდ წლის წინ, ქალაქში რომ დაბადებულა, მას შემდეგ, რაც დედამის, მისტერ ჰედის ქალიშვილს, სოფელში, მამისეულ სახლში თითისტოლა ჩამოეყვანა, და მერე მოულოდნელად სულიც განუტევებია, იქ ფეხი აღარ დაუდგამს. ბაბუა და შვილიშვილი კი იყვნენ, მაგრამ მაინც ძმებვით ჰგავდნენ ერთმანეთსო, რადგან მისტერ ჰედი თურმე დღის შუქზე მეტისმეტად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ნელსონი კი, მისი შვილიშვილი, ერთხელ უკვე დაბერებულს ჰგავდა, ამ ცხოვრებისა თითქოს ყველაფერი უკვე რომ იცის და სიამოვნებით ბევრ რამეს რომ დაივიწყებდა კიდევაცო. ერთ მშვენიერ დღით მატარებლით ატლანტაში მიემგზავრებოდა. ეს მატარებელი კიდე, ცალკე ამბავია. საერთოდაც, მატარებლები მაგარი საინტერესო ადგილებია წიგნებში, კაცმა რომ თქვას. ასეთი ამბავია, წინასწარაც აღარ მინდა მოგიყვებოთ მთელი მოთხრობა, ჩემი აზრით, საუკეთესო, ამ კრებულში. კრებული კი მოთხრობებისა, ცოტა ხნის წინ გამოსცა „დოოვენემ», ამას წინათ „სანტა ესპერანსაში» სხვა წიგნის საყიდლად შესულმა აღმოვაჩინე და იმის ნაცვლად ეს წამოვიყოლე. მთარგმნელები არიან ზაზა ჭილაძე და გია ჭუმბურიძე. დიდებული თარგმანია, ბარემ ამასაც ვიტყვი.



### ელის შოქერი ჩისფერი

მთარგმნელი:  
ბია ბერაძე

**გამომცემლობა**  
**„ინტელექტი“**

ძვირფასო მკითხველო, ერთ ზაფხულს, სულ თერთმეტი წლის რომ ვიქნებოდი, გაოფლილს გამომეღვიძა: ტრადიციული კომპარებისგან შეწუხებულს ყელი გამშრობოდა და საშინლად მწყუროდა. უკვე შუალამეს გადაცილებული იყო, ფეხზე ჩუსტების წამოუცმელად რომ გავაბოტე მისაღები ოთახისკენ: ხის დიდ მაგიდაზე წყლით სავსე დოქი მეგულეობდა. ოთახში შესულს დივანზე ჩაძინებული ბაბუაჩემი დამხვდა, რომელსაც ტელევიზორი ჩართული, პულტი კი ხელში დარჩენოდა. სანამ უხმაუროდ დავისხიჭიქაში წყალი, მერე კი ხმაურიანი ყლუპებით დავლიე ისე, რომ ყელიდან ტრუსამდე ჩამელვარა შემთბარი სითხე, ტელევიზორის მუქ ეკრანზე ბუნდოვანი ტიტრებიდან უცებ გასაოცარი კადრები ამოიზარდა: ულამაზეს იისფერ ყვავილებს შორის გოგონები დარბოდნენ. იმ ზაფხულს ძალიან მოწყენილი ვიყავი, სკოლის არდადეგებზე ვერსად წავედი, ჩემი თანატოლებიდან კი აღარავინ დარჩენილიყო რაიონში და მეც მარტო ვატარებდი იმ ოფლის სუნიან თვეებს. ამიტომაც ვიფიქრე, რომ ეკრანზე მაინც შემეველო თვალი ვიღაცის ბედნიერებისთვის, თუმცა რას წარმოვიდგენდი, რომ იმ გოგონების ბავშვური სილაღე უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო და მალე ჩემიც თან მიჰყვებოდა: იატაკზე ჩამჯდარი ორ საათზე მეტ ხანს ვუყურებდი ფილმს და იქიდან ნახევარზე მეტი კრიჭამეკრული ვტიროდი, რათა ხმამაღლა არ მესლუკუნა და ბაბუს არ გაღვიძებოდა.

ის ფილმი „ჩისფერი“ იყო, რომელმაც რაღაც წარმოუდგენელი ბოროტება მაჩვენა ისე, რომ მისი შიში მეტისმეტად ადრეულ ასაკში უკითხავად ჩასახლდა ჩემში. ამ ბოროტებას არ ჰქონდა სახელი, არც ფორმა თუ წარმომავლობა

და მისი მხვერპლი ნებისმიერი ვინმე შეიძლება გამხდარიყო ნებისმიერი მიზეზითა თუ მიზნით. ეს ასე იყო მანამ, სანამ გავიზრდებოდი და იმ წიგნს წავიკითხავდი, რომლის მიხედვითაც გადაიღეს სწორედ ის ფილმი: ელის უოკერის „იისფერი«. მაშინ კი უკვე ვიცოდი, რომ ბოროტებას ხანდახან აქვს სახელი და მას რასიზმი ჰქვია, მისი მხვერპლი კი მხოლოდ კანის ფერის გამო ხდება ვინმე; შეიძლება მას სექსიზმიც ერქვას და მისი სახელით გამართლდეს ის მრავალი ძალადობა, რომელსაც ქალები ასწლებულან იტანენ, ან კიდევ კლასობრივი ჩაგვრა, როცა შენი სოციალური მდგომარეობის გამო ყოველი ამოსუნთქვა სიცოცხლისთვის ბრძოლის ფასად გიჯდება. ასეთ დიდ ბოროტებებზე გვიყვება წიგნის მთავარი გმირი სილი, რომელმაც არც კი იცის რა დააშავა ამდენი საშინელების გადატანა რომ უწყევს. მაგრამ მე გეტყვით, რაც დააშავა: ის ქალად დაიბადა. თუმცა სულ ეს არ არის: ის შავია და მეტიც - ლარბია! არც კი ვიცი, როგორ შეიძლება აიტანოს ერთმა ადამიანმა იმდენი ცხოვრებისეული ტვირთი, რამდენის თრევაც იმ პატარა ზურგით მოუწია სილის, თანაც ისე, რომ გვერდით არავინ ჰყავდა, ვისაც თუნდაც მხოლოდ გულს გადაუშლიდა და ენას მოიფხანდა. ალბათ, ვერც აიტანდა, ნელა, ძალიან ნელა დაგროვდებოდა მასში ტკივილი, სევდა, მწუხარება და სიბრაზე, რომელიც ბოლოს მასვე გამოხრავდა შიგნიდან ხის ქიასავით. სწორედ ამიტომ დაიწყო სრულიად მიამიტური, გულწრფელი, გრამატიკული თუ საყოველთაოდ აღიარებული წესებისგან დაცლილი ენით ღმერთთან საუბარი. ღმერთთან, რომელსაც უნდა მოესმინა მისთვის.

გაუპატიურება, ცემა, დამცირება, განივთება - სილიმ ყველაფერი გადაიტანა, რაც შეიძლება გადაეტანა


ადამიანს და უფრო ზუსტად ქალს, რადგან ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული ამბავი კი არა, ისტორიაა კაციობრიობისა, სადაც ქალებს მხოლოდ შიშის, ძალადობის, სისხლისა და სპერმის სუნით უწყევტ ცხოვრება. ამ ყველაფერს კი ისე, როგორც საუკუნეებია გრძელდება ტრადიციად, სხვა ქალების მსგავსად ჩუმი დუმილით იტანდა სილიც, სანამ მის ცხოვრებაში არ გამოჩნდა შავ ივერი. და იცი, შავი რა ქალია? შავი თავად შიშველი, დაუმორჩილებელი სიცოცხლეა, როგორც დუქანში მთელი გულით ნამღერი ჯაზი. მას უყვარს თავისი თავი და მისი დაჩაგვრაც იოლი არ გეგონოს, პიქირით - სილისაც კი ასწავლის საკუთარი სხეულის შეცნობას, შემდეგ შეყვარებას და ბოლოს დაუმორჩილებლობას. აქ, ამ სამყაროში ამბოხი ერთადერთი გამოსავალია, რათა შეგამჩნიონ, მოგისმინონ, თვალებში შემოგხედონ. ეს კი მხოლოდ ურთიერთთანაგრძნობით ხდება, როცა ცდილობ გაიზიარო სხვისი ტკივილი და იბრძოლო ამ ტკივილით გამოწვეული იარების შესახორცებლად, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იმ სხვის ადგილას შეიძლება შენ ყოფილიყავი. ეს წიგნი კი თუ რაიმე ყველაზე ადამიანურს, იმ უსახელო ბოროტებაზე დიდებულს იტევს, ეს სწორედ იმ სოლიდარობის განცდაა, რომელიც ქალებს აქვთ ერთმანეთის მიმართ. ქალებს, რომლებმაც იციან რა გემო აქვს სახეში მოქნეულ მუშტს, შეუჩრებელად შრომას, მუდმივ შეურაცხყოფასა და უორგაზმო სექსს.

სიუჟეტისგან დამოუკიდებლად თავად ამ წიგნს კიდევ ცალკე სასტიკი ბედი ხვდა წილად: ის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად აკრძალული რომანია. რას გავაწყობთ, დღემდე არ გვიყვარს იმ საშინელებისთვის თვალის გასწორება, რომელიც სადმე სხვაგან, მაინცადამიანს ვიღაც

შავკანიან ქალებს კი არ ემართებათ ამერიკის რომელიღაც შტატში, აგერ სულ ახლოს, მეზობელი ბინიდან გამუდმებით ნივთების ლეწვისა და გინების ხმა რომ შემოდის, მეორე დღეს კი დალილავებული თვალთ იმ ბინის მცხოვრებლის ბავშვურ ტყუილს უბრალოდ თავს რომ ვუქნევთ და მაშინვე ვივიწყებთ ამ ფაქტს, აი, მანდ ხდება ზუსტად. ჰოდა, ამ წერილს რატომ გწერ შენ, მკითხველო და არა ღმერთს, როგორც სილი აკეთებდა ამას: იმან არც სილის უსმინა და არც მე თავის დროს, როცა, ალბათ, ყველაზე მეტად მჭირდებოდა. უკვე ათასებსაც უთხოვიათ მრავალი რამ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. და იცი რატომ? ამდენი გოდების, ტირილის, კივილის, მუდარისა და ყვირილის მოსმენამ მგონი ყურის აპკები სულ დაუხეთქა და დაყრუვდა ის საცოდავი. ან კიდევ, უფრო რეალისტები რომ ვიყოთ, იქნებ სულაც მაგან გამოიგონა ის უფორმო, ყოვლისმომცველი ბოროტება, რომელიც განურჩევლად ყველას გვშთანთქავს და იმასაც სულ არ ანალელებს ჩვენი ბედი. ამას ბოლოც სილიც მიხვდა, როცა გულგახეთქილს წამოსცდა ერთხელ: „ღმერთი ასე ძაან რო ვეხვეწებოდი მთელი ცხოვრება და ვწერდი, კაცია და იმნაირია, როგორც სხვა კაცები. უინტერესო, არამზადა, წვრილმანი.« ამიტომაც მე და შენ, თუ რაიმე ადამიანური ჯერ კიდევ შემოგვრჩენია (ამის შესამოწმებლად თუნდაც ეს წიგნი გამოდგება), სულ მარტივად, მხოლოდ თანაგრძნობითაც შეგიძლია შევცვალოთ ბევრი რამ, რადგან ჩვენ არავინ გვყავს ერთმანეთის გარდა - მხოლოდ მე და შენ.

სიყვარულით.

\* სათაურად გამოყენებულია ფრაზა მარგარეტ ეტკუდის რომანიდან «ბრმა მკვლელი»



### ზეიდი სმიტი თეთრი კბილები“

მთარგმნელი:  
თამარ ბაბუაძე

გამომცემლობა  
„წიგნები ბათუმში“

„ყოველი ეპიზოდი ორ-ორჯერ ხდება. შიგნით და გარეთ. და ორივეგან სხვადასხვა ამბავია.“

გარეთ იყო ღამის სამი საათი, ხმამაღალი სიცილი, გულამოსკვნილი ტირილი და დაუსრულებელი ლანძღვა-გინება. შიგნით კი საბოლოო გააზრება იმისა, რომ რაღაც საუცხოოდ დიდებული და შთამბეჭდავი წავიკითხე. ჰო, ასე მოხდა იმ ღამით, ზეიდი სმიტის «თეთრი კბილების» კითხვა რომ დავასრულე. მერე, მომდევნო რამდენიმე დღე, ვიჯექი და ვფიქრობდი, შე ასეთო გოგო, შე ისეთო გოგო, ეს რა გააკეთე, ეს როგორ დაწერე, საიდან ან როდის მოასწარი ამდენი ამბის ჩამარხვა საკუთარ თავში-მეთქი. პასუხის ძიებაში ზეიდის უამრავ ინტერვიუს ვუყურე, მათ შორის ჩემთვის ყველაზე საყვარელსაც, აი, ამას <https://www.youtube.com/watch?v=AB4nF5WD8l8&t=703s> და მაინც ვერ მივხვდი როგორ და რანაირად. ბოლოს და ბოლოს, ეს ოხერი, მილიონმა ადამიანმა დაამთავრა კემბრიჯის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტი, მილიონი მათგანი გახდა პროფესორი თუ მკვლევარი, მაგრამ 24 წლის ასაკში ალბათ მხოლოდ ერთმა (ან სხვამაც და უბრალოდ მე არ ვიცი) შეძლო დაეწერა წიგნი, რომელიც მაიძულებდა ისე მეკვივლა, თითქოს მე მომხვედროდეს ბარდაყში ტყვია.

ჰოდა, ეგეთი ამბავი იყო. იმის მერე განა დიდი დროა გასული, მაგრამ გული ვერც ერთ წიგნს ვეღარ დავუდე, ვერც ერთმა ამბავმა ვეღარ გამაგიჟა და მაცემინა თავში ხელი.

ზეიდი ერთგან, მგონი, Occasional Essays-ში წერს, რომ მკითხველმა და მწერალმა თანაბრად უნდა ვცეთ პატივი ერთმანეთს. მწერალმა უნდა იცოდეს, რომ ავერაგე ადამიანთან არ ექნება საქმე და ამ ადამიანს უკვე მრავალი სხვა, მათ შორის გენიალური, წიგნი ექნება წაკითხული, მაგალითად, წაკითხული ექნება კაფკა და ნაბოკოვი, ჰოდა, შენც, მწერალი რომ გქვია, უნდა ადგე და საკუთარ მკითხველს რაღაც ბანძობა კიარ უნდა შეაპარო, ხარისხიანი ტექსტი უნდა შექმნა და არაფერს მიანიჭო მნიშვნელობა, გარდა იმისა, თუ რას დატოვებ ფურცელზე. წერის მიმართ ზეიდის ეს დამოკიდებულება არაჩვეულებრივად ჩანს «თეთრ კბილებში», იმდენი აქვს ნაფიქრი თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ შედარებაზე, იმდენჯერ აქვს დარედაქტირებული და შეცვლილი, რომ ტექსტი, თუ მის ენას დავაკვირდებით, ძალიან მდიდარია, ძალიან დიდი გასაქანის მქონეა. ზეიდიმაც გადასარეგად იცის ეგ ამბავი და ამბობს ხოლმე, ყველაზე მეტად ალბათ ენა გამომარჩევს, როგორც მწერალსო.

ენას თუ შევეშვებით და უშუალოდ შინაარსზე გადავალთ, ტექსტი პირდაპირი მნიშვნელობითაა დახუნძლული ამბებით. იმდენი ისტორიაა შიგნით, რომ, აი, ხე წარმოიდგინეთ, უამრავი თანაბრად მწიფე ნაყოფი რომ გამოუზამს. ასეთი წიგნია, მოკლედ. ამ წიგნში აუცილებლად შეხვედებით რამდენიმე ძალიან ძველ და ცნობილ ამბავს, მათ შორის, მამებისა და შვილების დაპირისპირებას, ჰამლეტისეულ ეჭვებს, კანისა და აბელის ისტორიას, ნიცშეს მუდმივი განმეორების იდეას და კიდევ მრავალს, რომელსაც ჩემი მცირე ლიტერატურული ბექგრაუნდი, სამწუხაროდ, ვერ სწვდება.

მაგრამ მაინც, რაზეა წიგნი? უპირველესად, როდესაც «თეთრ კბილებზე» საუბრობენ, ამბობენ, რომ ესაა წიგნი ემიგრანტებზე, ადამიანებზე, რომლებსაც ვერც იმჟამინდელ საცხოვრებელში დაუმევირდებიათ ადგილი და დიდად აღარც სამშობლოსკენ მიუწევთ გული. მერე იმასაც დააყოლებენ ხოლმე, მეტი «კონკრეტიკისთვის», რომ ეს წიგნი არის ორ ოჯახზე და მათ ისტორიაზე და იმაზე, როგორ შეიძლება გყავდეს ქმარი/ცოლი, შვილები, მეგობრები და მაინც არ იყო ბედნიერი. როგორ შეიძლება ვერ გაარღვიო საკუთარი შესაძლებლობები და ჩაღპე შენივე კომფორტის ზონაში. მაგრამ ჩემთვის ეს წიგნი არც ემიგრანტებზეა და არც ოჯახურ დრამებზე. ერთ პერსონაჟზეა, მხოლოდ ერთზე.

«არ ბრძანდებოდა არჩიბალდ ჯონსი მამაცი და მშვენიერი რაინდი. არც მიზნები ჰქონდა, არც იმედები, არც ამბიციები. ეს იყო კაცი, რომელსაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ინგლისური საუბრეები და ჩხირკედლაობა ჰგვრიდა. მოსაწყენი კაცი. ბებერი კაცი. და მაინც... კარგი კაცი.»

მიყვარს არჩიბალდ ჯონსი. მიყვარს არჩიბალდ ჯონსის ჰამლეტობა, რომელიც პირველივე გვერდებიდან ეცემა მკითხველს თვალში. ჰამლეტიც მიყვარს, ნამდვილი, შექსპირისა, მაგრამ ეს კაცი, არჩიბალდ ჯონსი, რომლისგანაც არასდროს არაფერს ელიან, რომელსაც არ შეუძლია აღიმაღლოს ხმა და აბაკუნოს ფეხები, რომელიც არასდროს სწვდება თავის ცოლს და მუცელში მუშტს არ ჩააზღვს, რომელიც თხუთმეტი წლის მანძილზე ერთსა და იმავე კერძს მიირთმევს ერთსა და იმავე ადამიანთან ერთად ერთსა და იმავე რესტორანში, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ღმერთი და რელიგია, რომელიც ომიდან ისე

წამოვიდა, წვეთი სისხლი არ დაუღვრია, რომელიც თავს იკლავდა და ძალიან სასაცილო მიზეზით გადარჩა, რომელსაც იმდენად უჭირს გადაწყვეტილების მიღება, რომ მაშინაც, როცა თავის მოკვლას გადაწყვეტს და მაშინაც, როცა წინ მოსაკლავად განწირული კაცი უწევს, მონეტას აგდებს, კაცი, რომელიც წლებია დაუსრულებელ წრეზე დადის თავის მეგობართან ერთად და თვალს ვერ უსწორებს საერთოდ ვერაფერს, რომელსაც სამად იკბალამდე არასდროს ჰყოლია გმირი, მაგრამ ჰყავდა მამა, რომელიც სახლიდან სიგარეტის საყიდლად წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, რომელსაც ჰყავს ცოლი, რომელსაც არ აქვს კბილები, მაგრამ არის ღვთაებრივად ლამაზი, რომელსაც ფიზიკურად არაფერი სჭირდა, მაგრამ მაინც ჯარის იმ ნაწილში მოხვდა, რომელშიც ფიზიკური ნაკლის მქონე ჯარისკაცები ხვდებოდნენ – ეს კაცი მიყვარს ყველაზე მეტად და ეს კაცი მგონია მთავარი გმირი ამ წიგნისა. მთავარი კი არა, უმთავრესი.

არჩიბალდ ჯონსი არის კაცი, რომელსაც დაუსრულებლად უყურებ წლების მანძილზე და ხედავ, რომ მის ცხოვრებაში საერთოდ არაფერი იცვლება, რომელიც ორმოცდაათი წელი გატყუებს და მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ისე გაარღვევს ბედისწერის უსასრულო წრეს, რომ ყბას ჩამოგიგდებს, გაშტერებულს დაგტოვებს და გაფიქრებინებს, რომ შენც შეგიძლია, რომ ერთხელაც იქნება და აღარც შენ ააგდებ მონეტას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ომში არც შენ გაგიკეთებია რაიმე და მთელ შენს ცხოვრებასაც ცხოვრებად კი არა ცხოვრების ჩრდილად აღიქვამ, შენც შეგიძლია გმირი გახდე, თუკი მოინდომებ.



საქართველოს  
წიგნის გამომცემელთა  
და გამავრცელებელთა  
ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

2018